ეროვნული
ბიბლიოთეკა



ISSN 0321—1509

# საქართველოს ქალი

1
1984

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიკა ბარათაშვილი

# ო, წელო, ახალო!

ო, წელო, ძვირფასო,
ო, წელო ახალო,
უნდა გვიწინამძღვრო,
უნდა გაგვახარო,

ოცნებით გელოდით —
და არცთუ მცირედით...
უნდა გაგვიმართლო
რწმენა და იმედი!

და მაინც რა არის
სურვილი, მთავარი?
რვალად განმტკიცება
ერის მომავალის,

ნიჭის აღზევება,
სულის აღზევება,
საერო საქმეთა
შუქად გამზევება.

რომ ძალა ემატოს
„მუშურს“ და „მოძახილს“,
რომ ჭერი ვამაღლოთ
ყოველი ოჯახის,

სინდისი ვაშუქოთ,
ქვეყანას ვაჩვენოთ
ძალა და სიმტკიცე
გონის და მარჯვენის.

კაცური კაცობის
ნაშრომით-ალალით
აგვივსე ბეღლები,
ქვეყნის ჭურ-მარანი!

და მაინც მთავარი,
მთავარზე მთავარი?
ჰვიმრავლე, გვიმრავლე
ძე და მომავალი...

იდიდოს სიცოცხლემ,
იმძლავროს ნათელმა,
ზეცაზე მშვიდობა
ენთოს ჩირაღდნებად!..

. . . . . . . . . .

ო, წელო, ძვირფასო,
ო, წელო, ახალო,
უნდა გვიწინამძღვრო,
უნდა გაგვახარო!

„საქართველოს ქალი“
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დაწესდა ახალგაზრდა დედის დღე

# „ლამაზად შვილის გამზრდელი დედა მიცვნია გმირადა“



ვანი. მედიცინის მუშაკთა სახლი

დიდი ხალხმრავლობა იყო მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ვანის კულტურის სახლში. შესასვლელში გაკრული პანო და ლოზუნგი იუწყებოდა: „ახალგაზრდა დედის დღე“.

ეზო აივსო მასპინძლებითა და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული სტუმრებით.

დაიწყო ზეიმი. „იავნანის“ საამო ჰანგზე ნელა გაიხსნა ფარდა და სცენის სიღრმეში გამოჩნდა ახალგაზრდა დედა, აკვანთან მჯდარი.

ახალგაზრდა დედის დღისადმი მიძღვნილი საღამო შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის ვანის რაიკომის პირველმა მდივანმა ნოდარ ანდრიაძემ.

ზეიმის მონაწილეებს მიესალმა მედიცინის მუშაკთა კულტურის სახლის დირექტორი ლუარა ცხვარაძე.

დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ მრავალშვილიანი დედების ქვედავანელ თამარ ადეიშვილისა და ტობანიერელ ანა სტუპაკოვას, მრავალშვილიანი დედის, პედაგოგის მადლენა სანიკიძის და ინგა ადეიშვილის გამოსვლებს. მათთან ერთად თავიანთ საფიქრალსა და სურვილებს გვიზიარებდნენ: ოთხი შვილის დედა, მუსიკალური სკოლის პედაგოგი ლუდა ბრეგვაძე, პედაგოგები მადონა გაბუნია და შუშანა მესხიძე, ცეკავშირის კომბინატის მუშა მაყვალა რუხაძე და ამავე კომბინატის ინჟინერ-ტექნოლოგი დიოლა შარაშენიძე, რაიალმასკომის მუშაკი დოდო ახვლედიანი, ტობანიერელი მარინა ცხვარაძე, კოლმეურნეები მარინე და გოგი ჭულუხაძეები, სანეპიდსადგურის ექ-

თანი ციცინო სანიკიანი, ექიმი დოდო ძაგნიძე.

ზეიმის მონაწილეებს მიესალმნენ: ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, ზუგდიდელი მეჩაიე თამარ ყუფუნია, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, გმირი დედა მალვა სვირია, ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი. საგულისხმო წინადადებები დააყენეს პროფესორებმა ლუბა შეწირულმა, უჩა გაბუნიამ, ალექსანდრე მინდაძემ, ჟურნალ „საბჭოთა მედიცინის" რედაქტორმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ჯანგირ მამალაძემ, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დედათა და ბავშვთა დაცვის სამმართველოს უფროსმა ეთერ ჯანელიძემ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის განყოფილების გამგემ თამაზ თოხაძემ, რესპუბლიკის მთავარმა პედიატრმა თამაზ ჭურაძემ.

ზეიმი დაამშვენა საქართველოში სტუმრად მყოფი მეორე რანგის კაპიტნის, პოეტ ნიკიტა სუსლოვიჩის გამოსვლამ.

ახალგაზრდა დედის დღის მონაწილეებს ლექსი უძღვნა ბადრი სვანაძემ. საინტერესო პროგრამით გამოვიდნენ მედმუშაკთა კულტურის სახლის ქალ და ბავშვ მეჩონგურეთა კოლექტივები, ვასილ როხვაძის, ბადრი მეფარიშვილის, მერი ხურციძის, მადლენა სანიკიძის საოჯახო ანსამბლები; მაყურებელი მოხიბლა მერაბ გრიშაშვილის, გოგიტა შენგელიას, დედა-შვილ მანანა და აკაკი ხელაძეების, ნინო მამასახლისისა და ლუდა ბრეგვაძის გამოსვლებმა. ზეიმში მონაწილეობდა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ზურაბ ჩიქოვანის ცნობილი საოჯახო ანსამბლი.

ზეიმის მონაწილეებმა რაიონის ახალგაზრდა საპატიო დედად აირჩიეს მადლენა სანიკიძე და მიიღეს მიმართვა რაიონისა და რესპუბლიკის ახალგაზრდა დედებისადმი. მედმუშაკთა კულტურის სახლის ფოიეში მოწყობილი იყო ახალგაზრდა დედების ნამუშევართა გამოფენა-კონკურსი. მოწონება ხვდა მადონა აბრამიძის, დოდო ძაგნიძის, მილერა ტყეშელაშვილის, მადლენა გაბუნიას, იზა ქობალიას, აზა სანიკიძის, მაყვალა ამირიძის და მადლენა სანიკიძის ნაქსოვსა და ფერწერულ ნამუშევრებს, კულინარულ ნაწარმს.

ვანის ცენტრალურ საავადმყოფოში ორგანიზებულად მოეწყო „ღია კარის" დღე. ახალგაზრდა დედებს კონსულტაციებს უწევდნენ რესპუბლიკის გამოჩენილი მედიკოსები.

ლ. ცხვარაძე

ფ. იაქობაშვილის და თ. ქიქავას ფოტო



მადლენა სანიკიძე ქალიშვილებთან



მამებიც ამბობენ სათქმელს



დედობის სიხარული

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლაპარაკობენ ახალგაზრდა დედები

# შვილთა სიმრავლე ერის სიმრავლეა



ბედნიერი დედა ვარ, ექვს შვილს ვზრდი— ექვს მომავალ დედას. მართალია, ბევრი მშფოთვარე და უძილო ღამე გამომივლია, მაგრამ შვილების სიყვარული ყოველთვის ძალას მმატებდა და ყოველ გასაჭირს ადვილად მალახვინებდა.

მიყვარს ბავშვები. ალბათ ეს ჩემი პროფესიითაც განისაზღვრება, მაგრამ ბევრი შვილის გაჩენაში მაინც ჩემს დედამთილს, ქალბატონ ლიდა ბუაძეს მიუძღვის წვლილი. მან ხუთი ვაჟიშვილი აღზარდა, რომლებიც ერთმანეთს გვერდში უდგანან ლხინისა და გაჭირვების დროს. და ეს ხომ ჩემი ოჯახის ძლიერების საფუძველიც არის და დიდებული მისაბაძი მაგალითიც.

რას მოითხოვს მამული ჩვენგან? თუ წინათ, შემზარავი ომების ხანაში ქართველი დედა უყოყმანოდ სწირავდა მამულს ცხრა ძესა და თავის ერთასაც კი, ახლა, ამ მშვიდობიან პერიოდში, გვთხოვს შვილი გავუჩინოთ, გავუზარდოთ, და ჩვენც გავიხაროთ.

ჟურნალ „საქართველოს ქალის" შარშანდელ აგვისტოს ნომერში გაშუქებული საკითხი დედების გულის ძახილი იყო: ბავშვთა ტანსაცმელი ძალზე უხარისხოა, ზოგი სახეობის წარმოება კი სრულიად შეწყდა. ჩვენი თხოვნაა ბავშვებისათვის ხარისხიანი, ლამაზი ფეხსაცმელი, ტანსაცმელი დამზადდეს, რათა სიხარული მივანიჭოთ ჩვენს პატარებს.

მადლენა სანიკიძე,
ექვსი შვილის დედა.

●

მე დიდ ღირსებად მიმაჩნია დედობა. რა დიდებულად ჟღერს ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელის სიტყვები „მრავალი შვილი საქართველოს უკვდავებაა". მინდა ერთი საკითხიც დავაყენო: კიდევ უფრო რომ გაუმჯობესდეს ჩვენს კომბინატში მომუშავე ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობები, დედებმა უფრო მშვიდად რომ იმუშაონ, იქ აუცილებლად უნდა გაიხსნას საბავშვო ბაღი.

მაყვალა რუხაძე,
სამი შვილის დედა.

●

ჩვენს შვილებს სიხარული რომ მივანიჭოთ, ახალი სახელმძღვანელოებით რომ უზრუნველვყოთ, ამისათვის წინადადება შემომაქვს: სასწავლო წლის ბოლო თვეში იმდენი მაკულატურა დავამზადოთ, რამდენიც საკმარისი იქნება სახელმძღვანელოებისათვის. მაკულატურის შეგროვება დავიწყოთ დევიზით: „მაისში შეგროვილი მაკულატურა მხოლოდ სახელმძღვანელოებს!" ალბათ არ მოიძებნება ისეთი მშობელი, თავის შვილს რომ არ დაეხმაროს მაკულატურის შეგროვებაში.

დოდო ახვლედიანი,
სამი შვილის დედა.

●

ზოგი ფიქრობს, თუ ერთ შვილს გავიჩენ, უკეთესად აღვზრდიო. ჩემი აზრით ეს არ არის სწორი. პირიქით, თუ ოჯახში მხოლოდ ერთი შვილია, ის ეგოისტი იზრდება, არ გააჩნია არავითარი თბილი გრძნობა. ჩემი ოთხი შვილიდან თუ ერთ-ერთი შინ არ არის, დანარჩენი სამი არც ჭამს და არც იძინებს, სანამ ისიც არ მოვა. ისინი ასევე გულისხმიერნი არიან თავიანთი ამხანაგებისა და ტოლების მიმართ.

მე თვითონ და ჩემი მეუღლეც მრავალშვილიან ოჯახში ვართ აღზრდილი და ვიცით და-ძმების სიყვარულის ფასი. ჭირსა თუ ლხინში არავინ გეყოლებათ ისეთი გულშემატკივარი, როგორც დედმამიშვილები. ნუ მოაკლებთ თქვენს შვილებს ამ ძვირფას გრძნობას.

და ბოლოს, მინდა გირჩიოთ: გააჩინეთ შვილები, მეტი შვილი მეტი ოჯახია. მრავალი ოჯახი კი ერის სიმდიდრე და ძლიერებაა.

მადლენა გაბუნია-ჯოჯუა,
ოთხი შვილის დედა.

●

მე და ჩემი მეუღლე გოგი დღედაღამ შვილების კეთილსინდისიერად აღზრდაზე ვფიქრობთ. ის კოლმეურნეობაში ტრაქტორისტად მუშაობს, მე კი — მთანგარიშედ. ოთხ შვილს ვუზრდით სამშობლოს.

მინდა ერთ საკითხზეც გავამახვილო ყურადღება — ოჯახისთვის ზრუნვასა და შვილების აღზრდაში მამების მოვალეობაზე. სამწუხაროდ, ზოგიერთ მამას ჰგონია, რომ შვილების აღზრდა მხოლოდ დედას უნდა მოეკითხოს, ზოგი მოუცლელობას იმიზეზებს. როცა მამა შვილს გვერდით უზის და ფერადი კუბიკებით „სახლის აშენებაში" ეხმარება, გატეხილ სათამაშოებს უწებებს ან საბავშვო ბაღის ამბებს გამოჰკითხავს, ბავშვს გული სიამაყითა და სიხარულით ევსება.

შვილებისთვისაც მამებმა უნდა იზრუნონ. აუცილებლად მიმაჩნია, ორგანიზაციებმა, საზოგადოებამ გამოავლინონ და წაახალისონ კარგი მეოჯახე, კარგი შვილების აღმზრდელი მამა.

ოჯახური სიამტკბილობა საშუალებას გვაძლევს ღირსეულად აღვზარდოთ შვილები.

მარინე ჟულუხიძე,
ოთხი შვილის დედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძვირფასო ქალებო!

ყოველი ქვეყნის ძლიერებისა და ბედნიერების სათავე თვითონ ხალხია, მათი შრომა და შრომის შედეგად შექმნილი მატერიალური დოვლათია. ხალხთა სიმრავლე კი დედობიდან იწყება. სწორედ ამიტომ დედობა ჩვენს ქვეყანაში ყველა ქალისათვის საპატიო და პასუხსაგები მოვალეობაა. ორსული ქალი, დედა და ბავშვი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი, განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობს. „კომუნისტური პარტია, — მითითებულია სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებში, — თავის მოვალეობად თვლის გამუდმებით იზრუნოს ქალისათვის, მისი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, როგორც შრომითი პროცესის მონაწილე, დედისა, შვილების აღმზრდელისა და ოჯახის დიასახლისისათვის!“

საქართველოში მომავალი თაობის აღზრდისათვის ზრუნვა, ოჯახში ბავშვთა სიმრავლე, მრავალშვილიანობა ძველთაგანვე მარტო სანუკვარი სურვილი კი არა, უმნიშვნელოვანესი სოციალური და სასიცოცხლო ფაქტორიც იყო.

ისტორიულად საქართველოში გაბატონებული იყო მრავალშვილიანობის ტრადიცია, მისი პატივისცემა, ქართველი ხალხი დამპყრობთა ურდოებს უმთავრესად იმით უმკლავდებოდა, რომ ყოველი ქართველის ოჯახში რამდენიმე ვაჟკაცი იზრდებოდა და ავბედობის ჟამს სამშობლოს დასაცავად ქუდზე კაცი გამოდიოდა.

ქართულმა ხალხურმა სიბრძნემ ერთი ასეთი დიდი, ცხოვრებისეული დასკვნა გამოიტანა: — „ერთი შვილი— არა შვილი, ორი შვილი — ვითომ შვილი, სამი შვილი მართლაც შვილი“. ისმენდა ხალხი ამ სიბრძნეს და ვინ იცის რამდენი „ცხრა ძმა ხერხეულიძე“, „ძმები ლესელიძეები“, „დები იმხნელები“ ჰყავდა! საქართველოს უკუღმართი ბედი რომ არა, საქართველოსი, რომლის ასიათასობით შვილი ბრძოლის ველზე იღუპებოდა და ათიათასობით ტყვედ წაყვანილნი სხვა ერების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის თავს სდებდნენ, — არავინ იცის დღეს რამდენ მილიონს მიაღწევდა ქართველობა!

მაშინ სამშობლოს შვილები მტრისაგან თავდასაღწევად სჭირდებოდა, ახლა კი — სადიდებლად და საამაყოდ. დღეს, როცა ჩვენი ერისათვის სიმრავლე, ასე აუცილებელია, როცა ამდენი სიკეთეა ირგვლივ და შეგიძლია ქვეყანას მხარში ამოუდგე, რაოდენ სამწუხაროა, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში რესპუბლიკაში შექმნილი დემოგრაფიული სიტუაცია საგანგებო ყურადღებას იქცევს შობადობისა და ბუნებრივი ნამატის შემცირების ტენდენციის გამო.

ჩვენს ქვეყანაში ვადიდებთ და საოცარი სიყვარულის შარავანდედით ვმოსავთ მრავალშვილიან ოჯახებს, თაყვანს ვცემთ იმ ქართველ ქალებს, რომლებმაც ბევრი ვაჟი და ქალიშვილი აღუზარდეს მშობელ ქვეყანას. რაც მეტი ბავშვი იქნება ოჯახში, მით უკეთესად დაიზრდებიან, უფრო შეგნებულნი და ადამიანურნი, მშობლებისა და ერისათვის გამოსადეგნი გამოვლენ.

ძვირფასო ახალგაზრდა დედებო! პირველი, ვისაც შეუძლია ამ საშვილიშვილო საქმეში თავისი უდიდესი წვლილის შეტანა, თქვენ ბრძანდებით, ერის მომავლის უპირველესი სიტყვაც თქვენზეა და საქმეც, რადგანაც „მრავალი შვილი საქართველოს უკვდავებაა“.

**ახალგაზრდა დედის დღის**
**შეკრების მონაწილეები**
ვანი

ლევან სანიკიძე

# არანაკლებ ხუთი შვილისა!

ნაწყვეტი წიგნიდან „რწმენა რწმენისა“

ნუ მიწყენ დღევანდელო ქართველო ქალო, თუ შენს ყურადღებას ისევ ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაღვლიანი ლექსით მოვაპყრობ შენი დიდებული წინაპრისადმი — ქართვლის დედისადმი — რომელიც „უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა“, განუმტკიცებდა ძირსა, განუმრავლებდა ჯიშსა.

არ არსებობს უფრო დიდი გმირობა ქართველი ქალისა, ვიდრე მ რ ა ვ ა ლ შ ვ ი ლ ი ა ნ ო ბ ა!

არ არსებობს უფრო დიდი ღირსება ქართველი ქალისა, ვიდრე მ რ ა ვ ა ლ შ ვ ი ლ ი ა ნ ო ბ ა!

არ არსებობს უფრო დიდი ქალობა ქართველი ქალისა, ვიდრე მ რ ა ვ ა ლ შ ვ ი ლ ი ა ნ ო ბ ა!

კიდევ შეგახსენებ ქალსაც და კაცსაც: თუ შენ არ შექმენ ადამიანი, შენა ხარ მკვლელი. მრავალთმრავალ მილიონიან ინდოეთში ითქვა ეს შეგონება და მით უფრო თქვენ, რიცხვით უმცირესი ქართველობის ნაშობნო შვილნო! ნუ იქნებით მკვლელნი ადამიანისა!

ნუ იქნებით მკვლელნი ქართველისა!

ნუ იქნებით მკვლელნი თქვენი საოცარი, ღვთაებრივი ჯიშისა!

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნუ იქნებით მკვლელები თქვენი ღვიძლი შვილებისა!
ნუ იქნებით მკვლელები საქართველოსი!

ნუ დაივიწყებთ, რა შემოგბედათ მტერმა, ჭინჭში გახვეულმა სამართებელმა: ქართველებს არ შეუძლიათ, თორემ ნახევარ შვილზე მეტსაც არ გააჩენდნენო...

გაძლიერდით, გამრავლდით და გააცურეთ ეს შხამის დორბლით გატენილი გამონათქვამი!

ქართველო ქალო, ნურცერთ შვილს ნუ მოაკვლევინებთ ნებადართულ გომბეშო-მკვლელებს!

ქორწინების პირველი დღიდანვე სამუდამოდ გულს დაიბეჭდე შოთა ნიშნიანიძის უმძიმესი კაეშნით სავსე ეს სტრიქონები: ჩანასახშივე ძალისძალად უღვთოდ მოკლული შვილის ნამტირალევი:

რა გალეულს და ფერწასულს გხედავ,
ჩემო პაწია, ცოდვილო დედა,
ვაიმე, როცა საშოში მჭრიდნენ,
რაიმე ხომ არ გატკინე ნეტა!

. . . . . . . .

როგორ მინდოდა, მე მოგსწრებოდი,
მეც გამეხარა ამ სამზეოთი,
მეც დამეძახა შენთვის „დედიკო“
და მამას ყელზე შემოვხვეოდი.
ჩაწნული ვიყავ მომავლის ფიქრთან,
როგორც პეპელა ყვავილში რგული,
დაბადებამდე რამდენი მაკლდა,
ითვლიდა ჩემი პაწია გული.
ალბათ, გგონივარ დაღლილი სხივი,
ალბათ გგონივარ სუნთქვა სიოთა,
შენ ხომ უძლებდი საკუთარ ტკივილს,
მე, კი, ძვირფასო, შენიც მტკიოდა.
თურმე ტყუილად მომიხაროდა,
შეხვედრა შენთან, ძმებთან და დებთან...
ახლა მოგტირით სხვა სამყაროდან
არარაობის ჩრდილი და სევდა.

რად გააწბილე ღვთის იმედები,
რატომ შეშალე და გაამრუდე,
ანგელოსების და პლანეტების
კეთილი გათვლა და ვარაუდი?
ჰოი დედებო, რა პასუხს აძლევთ,
რას ეუბნებით წარსულს და ხვალეს,
ვინ მოუაროს ვაზივით გამძლე
დიდების მსურველ პატარა მხარეს!

. . . . . . .

— კიდევ სად არის სხვა საქართველო?
ჰყვავის ლექსი და ციხის ქონგური.
— მიწაში, დედავ... და ვინ დათვალოს
შვილი და ძირი ჩემებრ მოკლული.
თუ სვეტიცხოველს ვერ ავაგებდით,
„ვეფხისტყაოსანს“ თუ ვერ დავწერდით,
მაინც ზედმეტი და მოსაკვეთი
არ ვიქნებოდით შენთვის არცერთი.

ერთის წუთითაც არ დაგავიწყდეს — შენ ბუნებამ ქალად შეგქმნა ქალობისათვის, ქალური სიყვარულისათვის და ნაყოფიერებისათვის. სიყვარული და ნაყოფიერება ერთი მთლიანი სხეულია შენი ქალობისა. და ნაყოფიერებაც შენი, ხანგრძლივობით, უნდა უტოლდებოდეს სიყვარულს შენსას.

მაშ, იყავ მრავალნაყოფიერი,
მრავალშვილიანი,
მრავალძეობით ვალმოხდილი და დამშვენებული,
„ვითარცა ხე ფურცელითა და ნაყოფითა!“
ქართველო ქალო, შენ, ღვთისგან კურთხეულო!
გთხოვ,
მუხმორთხმით გემუდარები,
მოგიწოდებ და გიბრძანებ:
დაეხსენ ეშმაკს,
იტვირთე,
შობე,
აღზარდე —
არა ნაკლებ ხუთი შვილი, ხუთი ქართველი!

# საწყისი მარადიული განახლებისა

ამ რამდენიმე ხნის წინათ პრესაში გამოქვეყნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მრავალშვილიანი დედებისათვის გმირი დედის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ. დაჯილდოებულთა შორის სამი ქალი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, კერძოდ, ქედის რაიონის მკვიდრია.

ამჯერად ერთ მათგანზე — ნადია რასიყის ასულ სურმანიძეზე მოგითხრობთ: იგი აგერ თითქმის 23 წელიწადია სოფელ ოქტომბერში ცხოვრობს. ათი შვილის დედაა — ცხრა ასულისა და ერთი ძისა.

ნადია პედაგოგია. გოგიძეების დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებელს 23 წლის პედაგოგიური მოღვაწეობის სტაჟი აქვს. კარგი მუშაობისათვის არაერთი სიგელი და მადლობა დაიმსახურა და, რაც მთავარია, ბევრ მოზარდს გაუფაქიზა სული, შეაყვარა მშობლიური კუთხე და ხალხი.

რა არის ამ სათნო, კეთილი, გამრჯე მანდილოსნის ცხოვრების მიზანი?

— ქვეყნის, ხალხის, ოჯახის ერთგული სამსახური. და რომ ეს ნამდვილად ასეა, ამას მოწმობს მთელი მისი განვლილი ცხოვრების გზა.

ათი შვილი! სათქმელად ადვილია, მაგრამ, აბა, ერთი მათი ვაზრდა წარმოიდგინეთ. ამიტომაც აღინიშნება ეს დიდი რუდუნება და გარჯა გმირის წოდებით. ხოლო თუ ქალი ათ შვილს ზრდის და ამასთან მასწავლებლის ურთულეს პროფესიასაც ღირსეულად ართმევს თავს, მაშინ იგი, ხატოვნად რომ ვთქვათ, ღმერთთან წილნაყარია. ასეთია ჩვენი ნარკვევის გმირიც — ნადია სურმანიძე.

ლ. ი. ბრეჟნევი თავის „მოგონებებში" დედის შესახებ წერს: „სამუდამო პატივისცემით განვიმსჭვალე ქალის, დედის მძიმე, უხილავი, უსასრულო და კეთილშობილური შრომის მიმართ". მართლაც, ყოველი ქალის, დედის შრომა სამუდამო და უსასრულო თაყვანისცემის ღირსია, მით უმეტეს, თუ შვილები მრავლად ჰყავს და მათ მამულს სასახელოდ უზრდის!

როგორი შვილები ჰყავს ნა[illegible]ა:

— უფროსმა ქალიშვილმა იზოლდამ საკუთარი კერა შექმნა და თავადაც დედაა. ნაზი ბათუმის პედინსტიტუტის მათემატიკის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტია, ეთერი — ამავე ინსტიტუტის ფიზიკის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი. გულიკომ შარშან დაამთავრა საშუალო სკოლა წარმატებით. ახლა თამბაქოს პლანტაციაში მუშაობს, თან, რომ იტყვიან, გვერდიდან წიგნი არ მოუშორებია, მეცადინეობს, სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტობა სურს. შორენაც სტუდენტობას აპირებს. მანანა, იამზე და ზეინაბი მოსწავლეები არიან, ოთხებსა და ხუთებზე სწავლობენ, მზეონა ხუთი წლისაა. საბოლარა ზურიკოს ჯერ მხოლოდ



დედა და შვილები

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი წელი შეუსრულდა, მაგრამ ცოდნის წყურვილს ამთავითვე ამჟღავნებს, გაფართოებული თვალებით უსმენს თავის დაიკოებს, როცა ისინი გაკვეთილებს ამზადებენ.

ამ ოჯახში, რომლის ბურჯი პედაგოგი, ოქტომბრის რვაწლიანი სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი გურამ გოგიტიძეა, საოცარი წესრიგი და სიწყნარეა. უცბათ ვერც კი იგრძნობთ ამდენი პაწია თუ ცხოვრობს აქ. დედ-მამა მათთვის დამახასიათებელი ყურადღებით, სიზუსტით, ორგანიზებულობით, დისციპლინით, კოლექტიურობის გრძნობით შვილებს საუკეთესოდ ზრდის. აქ, ამ ოჯახის წევრთა ლექსიკაში არ არის სიტყვები: „ჭირვეულობა“, „სიზარმაცე“, „მე მსურს“, „მე არ მინდა“, „არ გავაკეთებ“, „აბა კი...“ სამაგიეროდ ხშირად გაიგონებთ: „თუ შეიძლება“, „გთხოვთ მაპატიოთ“, „ნება დამრთეთ“, „დიდი მადლობა“, „მე გავაკეთებ“, „სიამოვნებით“, „პაწიას უნდა“...

როცა ამ თბილი კერის ზღურბლს ოჯახის მამა გადმოაბიჯებს, თითქოს კედლებიც პირს იხსნიან და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, მთელი სახლი ხარობს და იცინის. ალბათ, იმიტომ, რომ ნადია მუდამ ღიმილიანი, გახარებული ეგებება მეუღლეს და სამაგიეროდაც სითბოსა და სიყვარულს იმკის. გოგონები თვალებში შესციცინებენ, მასთან ერთად უყურებენ ტელევიზორს, კითხულობენ გაზეთს. გაკვეთილების სწავლისას, როცა რაიმე სიძნელეს წააწყდებიან, პირველი მასწავლებელი და დამრიგებელი მამაა. მერე ბოსტანში შრომობენ მამის მხარდამხარ. გამრჯე კაცია გურამი, შვილებიც მის კვალზე წავიდნენ.

გოგონები მუდამ დიდი თავაზითა და მოკრძალებით ექცევიან დედას, ეს მათს ყოველ საქციელში ჩანს. კრძალვა და პატივისცემა ირეკლება გურამის თვალებიდანაც, როცა თავის მეუღლეს ესაუბრებოდა. კეთილშობილი კაცია გურამი-მეთქი, გავიფიქრე. სუხომლინსკის სიტყვები მომაგონდა, ქალისადმი დამოკიდებულება სახელის, სინდისის, წესიერებისა და კეთილშობილების ფაქიზი საზომია, იგი გულისხმიერების გამოვლინების უმაღლესი სკოლაა.

თითქოს ნადიამ უსიტყვოდ გამიგო ფიქრები და მითხრა:

გული თურმე არ ბერდება. ახლაც ისე შევხარით ერთმანეთს, როგორც ამ 23 წლის წინათ, როცა ამ ეზოში პირველად შემოვაბიჯე.

ვათვალიერებ კარ-მიდამოს. ჩინებულად არის მოვლილი. მსხმოიარე ვაშლი, სხვა ხეხილი, კარგი ბოსტანი ნადიას მუყაითობას გვიდასტურებს, მიკვირს, როგორ აუდის ამდენ საქმეს. ეს მით უფრო გამიკვირდა, როცა გავიგე, რომ ოჯახს ოთხი ძროხა, ერთი ხარი, უამრავი ფრინველი ჰყავს. შარშან ნადია აბრეშუმის ჭიასაც უვლიდა და თორმეტი კილოგრამი ხარისხოვანი პარკი ჩააბარა მისაღებ პუნქტს. კიდევ რამდენი საქმეა ოჯახში, აბა, ყველას ვინ მოთვლის! ნადია კი ყველაფერს ასწრებს. ძნელია-მეთქი, გულში ვფიქრობ და მერე ვეკითხები:

— არ გიჭირს ამდენი საქმე?

— ცოტა თუ არ გაიჭირვე, აბა ისე იქნება?! მე № 1 ბრიგადის აგიტატორი ვარ. თვითონ თუ არ ვიშრომე კარგად, სხვას რა პირით მოვუწოდო?

მერე ჩვენი საუბარი სულიერ ინტერესთა სფეროს შეეხო. მინდა ვიცოდე რაში ხედავს მშვენიერებასა და სილამაზეს, როგორი დამოკიდებულება აქვს ადამიანებთან, ხასიათის რა თავისებურებებით გამოირჩევა. ჩემს კითხვებს მართლაც რომ შესაშურად უპასუხა. საუბრობდა გულღიად: მხიარული ღიმილი უმშვენებდა ცისფერ თვალებს.

მშვიდი, აუღელვებელი, დინჯი და ხანდახან ჩაფიქრებული ქალი მეტად სიმპათიურად განგაწყობდათ.

საინტერესო მეჩვენა ნადიას აზრები ზოგიერთ საყოფაცხოვრებო საკითხზე.

— ქალს, როგორც ოჯახის დედას, — მითხრა მან, — სხვა დახმარებაც ესაჭიროება. აუცილებელია, მაგალითად, ახალგაზრდობის საოჯახო ცხოვრებისათვის მომზადება, რომელიც დღესდღეობით მხოლოდ ოჯახებს აქვთ მინდობილი. საჭიროა, შეიძლება ითქვას, აუცილებელიც, — საშუალო სკოლის უფროს კლასებში ან უმაღლესი სასწავლებლების პირველ კურსებზე ასწავლიდნენ ოჯახის ისტორიას და ოჯახური ურთიერთობის სხვადასხვა საკითხებს. ამაზე ხშირად მიფიქრია, ქალებმაც მთხოვეს, აგიტატორი ხარ, თქვი, დაწერე, შენ სიტყვას ძალა აქვსო. ჰოდა, აი...

ყველა დროისა და ხალხების პოეტები ხოტბა-დიდებას ასხამდნენ ქალს — დედას, ცხოვრების ბურჯს. ყოველივე მშვენიერი, რაც კი მსოფლიო ხელოვნებაში შექმნილა, ქალის მადლია.

შთაგონებათა ეს დიდი გზა როდი მთავრდება, ბოლო არა აქვს. პირიქით, დედა მუდამ საწყისია მარადიული განახლებისა და მუდამ ელის თავის ღირსეულ შემამკობელს.

**გენრიეტა ქუთათელაძე**

ნადია სურმანიძე მოსწავლეებთან



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუძემრავალი ოჯახის შრომითი საქმეები

# გოგიძეები



გოგიძეების ოჯახი

ბევრ კარგ სიტყვას გაიგონებთ გოგიძეთა ოჯახზე საგურამოში. ამ ფუძემრავალი ოჯახის თითოეული წევრი შრომაში და პირად ცხოვრებაში სამაგალითოა.

შვიდი შვილი აღზარდეს ელისო და შალვა გოგიძეებმა. „დავწვრილშვილდი — დავიწიე, დამეზარდნენ ავიწიეო“ — რა კარგად უთქვამთ ჩვენს წინაპრებს — ამბობს ოჯახის უფროსი შალვა გოგიძე. ბავშვები სანამ პატარები იყვნენ, საკმაოდ გვიჭირდა — ოჯახიდან მარტო მე ვმუშაობდი, ელისო ბავშვების მოვლას ვერ აუდიოდა... ჯერ უფროსი ვაჟი ამომიდგა მხარში, მერე ჩემი ოჯახის ნამდვილი ბურჯები — მარინე და მაია. შარშან გულნარამაც დაამთავრა საშუალო სკოლა და ზაფხულიდან ისიც ჩვენს გვერდით შრომობს.

გოგონები ბოსტნეულის მოყვანაში გაიწაფნენ. წლების განმავლობაში ზედიზედ გადაჭარბებით ასრულებენ ბოსტნეულის წარმოებისა და ჩაბარების გეგმებს. მათი მუყაითი შრომა შეუმჩნეველი არ დარჩენილა — მარინე რაიონული საბჭოს დეპუტატია, კომუნისტური პარტიის წევრი, ხოლო მაია სკკპ წევრობის კანდიდატია და სასოფლო საბჭოს დეპუტატი.

შარშან, როცა მეურნეობის ვერც ერთმა ბრიგადამ ბოსტნეულის გეგმა ვერ შეასრულა, გოგიძეებმა მაინც იმარჯვეს. დედამ — ელისო გოგიძემ გაპიროვნებული 3200 კვმ ფართობიდან გეგმური 7, 8 ტონა პამიდორის ნაცვლად 15 ტონა და 308 კგ პამიდორი მოიწია. მარინემ 1500 კვმ ფართობიდან გეგმური 3 ტონა და 210 კგ-ს ნაცვლად 6 ტონა და 352 კგ პამიდორი ჩააბარა მიმღებ პუნქტს, ხოლო მაიამ ამდენივე ფართობიდან 5 ტონა და 356 კგ პამიდორი. მარტო გოგიძეთა ოჯახიდან მეურნეობას 27 ტონაზე მეტი პამიდორი ჩაბარდა. გარდა ამისა, ოჯახის უფროსს, შალვა გოგიძეს, რომელიც მეცხოველეობის ფერმაში მუშაობს, 0,5 ჰექტარი სიმინდი ჰქონდა გაპიროვნებული, საიდანაც 4 ტონა და 140 კგ სიმინდი მოიწია. პრემიად, ნატურის სახით, 1 ტონა და 400 კგ სიმინდი ერგო შალვას. და კიდევ, ამ მრავალშვილიანი ოჯახის დედა და დიასახლისი, მეურნეობაში ერთ-ერთი საუკეთესო მეაბრეშუმე არის. 14 წელია, რაც ელისო გოგიძე აბრეშუმის ჭიას უვლის და არცერთხელ არ ყოფილა შემთხვევა, რომ გეგმა გადაჭარბებით არ შეესრულებინოს.

გოგიძეთა ოჯახის ყველა წევრი საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობას ეწევა. უფროსი ვაჟი დაოჯახებულია და თბილისში მუშაობს, თავის დედ-მამასა და და-ძმებსაც არ ივიწყებს და ხშირად ეხმარება მათ ყველა საქმეში. მარინეს და მაიას მომდევნო ვაჟი სავალდებულო სამხედრო სამსახურშია, ხოლო ორი მომდევნო და-ძმა ჯერ ისევ სკოლის მოსწავლეები არიან.

მარინე გოგიძეს სწავლის გაგრძელება სურს უმაღლეს სასწავლებელში. თუკი მისი ეს დიდი ოცნება ახდება, მის ადგილას გულნარა დაიჭერს. გოგიძეთა ფუძემრავალ ოჯახს მორბედნი კიდევ მრავლად ჰყავს.

**თ. თათარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა





# „არ გავცვლი სალსა კლდეებსა...“

დათვისას უღელტეხილი რომ გასცდებით, თვალწინ წარმოგიდგებათ პირიქითა ხევსურეთი ამწვანებული მთებითა და თოვლიანი მწვერვალებით, მთის კალთებიდან დაქანებული ჩანჩქერებითა და ცივი, ანკარა წყაროებით, ციხე-კოშკებით, ნასახლარებითა და ახლად ნაგები სახლებით. თვალწინ წარმოგიდგება ხევსურეთის გული, კლდეზე არწივის ბუდესავით გაკრული შატილი, რომელსაც ზემოდან გადმოჰყურებს მუცო, ბევრის მომსწრე და ბევრის მნახველი.

დგანან საქართველოს ჩრდილოეთის ჭიშკრის ეს ძველისძველი დარაჯები და იგონებენ გარდასულ დღეებს: ხევისბერის გაშლილ დროშასა და ბრძოლებში მიმავალ ვაჟკაცთა დამწყალობებას, ფაფარაშლილი ცხენების ფლოქვების ხმას და ბრძოლის ყიჟინას, მერე გამარჯვებულთა ლხინსა და კარგი ყმის მოსაგონარს, გუდანიჯვრის ყმებს, დღეს რომ არაგველების სახელით კრწანისში განისვენებენ და იმ ვაჟკაცებს, ერეკლე მეფეს ერთგულად რომ ემსახურებოდნენ სამშობლოს სადიდებლად.

იგონებენ იქვე ახლოს კლდეზე აშენებულ სოფელს — სისაურებს. შავმა ჭირმა ნასოფლარად რომ აქცია, ხოლო ანატორიაში მათი განსვენებული ძვლები დღესაც ლაღადებენ ხევსურთა ავბედითს წარსულს.

ვინ მოთვლის შატილას მოღუშულ, ჩამუქებულ სამხართულიან ქვიტკირებს რამდენჯერ შემოსევია მტერი, განსაცდელის ჟამს რამდენჯერ სმენია შატილიონთა იმედიანი ხმა:

„რად გეშინიან, შატილო, ყამს რაად იყავ
მტრისახა,
ოროლთ დავასხამ ტყვიათა, თოფს
თეთრაულისძისახა,
არც თიკანს წავაყვანინებ ამ თქვენის
ქავისკრისახა,
დავხვევდი მეთოფეებსა იმ წვერსა
ჭაუხისახა“.

და მოდიოდა მტერი ერთზე ათი, მამაცურად უტევდნენ ხევსური ჭაბუკები. ახსოვს შატილს ხუთიათასკაციანი ჯარით რომ შემოვიდნენ ლეკები, სამოცი შატილელი სამ დღეს რომ მედგრად ებრძოდა დუშმანს და მოკლეს მისი წინამძღოლი. ლეკთა ჯარი შერცხვენილი უკანვე გაბრუნდა, მეფის ნაცვალმა ამ გამარჯვების აღსანიშნავად პატარა ეკლესია ააგო, რომელიც დგას შატილიონთა გმირობის სადიდებლად.

სიღარიბე იყო მთებს შორის მომწყვდეული, უგზოობით ქვეყანას მოწყვეტილი ხევსური კაცის მეგზური. კლდეებს ეჭიდებოდა, ხნავდა, თესავდა, თოხნიდა, მაგრამ სარჩო მაინც არ ყოფნიდა. პურისა და მარილის საყიდლად ასობით კილომეტრზე მიდიოდა და ციცაბო კლდეებზე ზურგით გადმოჰქონდა. ხევსურთა ბედით შეწუხებული დიდი ვაჟა წერდა: „ნეტავ არის სადმე სხვა ისეთი ღვთისა და კაცის მიერ დავიწყებული მხარე, როგორც ხევსურეთი.“

ოქტომბერმა შვება მისცა ხევსურეთს. აფეთქების ხმამ შეაზანზარა მთები და სამანქანო გზა მივიდა იქ, სადაც ცხენითაც უჭირდათ სიარული.

სკოლის ზარი აწკრიალდა სოფლებში, ბევრგან გაიხსნა საექიმო პუნქტი, აფთიაქი, მაღაზია...

მკაცრ ბუნებასთან ჭიდილში ხევსურს ყოველთვის ჰქონდა ერთი მცნება: არ გაეცვალა სალი კლდეები სხვა ქვეყნის სამოთხეზე და არ აციებდნენ მამა-პაპის კერას ჭინჭარაულები, ზვიადაურები, შეთეკაურები, ოჩიაურები, გოგოჭურები...

და მაინც თანდათან დაცარიელდა არაგველების ნაბუდარები. სოფლები ნასოფლარებს დაემსგავსა, სახლები — ნასახლარებს. ჩამოიქცა ყორეები, გაქრა ბილიკები, ადამიანის ნავალი დაკარგა მიწამ. შატილს მხოლოდ ხუთი ოჯახიღა შემორჩა და ამ ხუთმა ოჯახმა შეუნარჩუნა სიცოცხლე ერთ დროს ხალხმრავალ ხეობას.

გავიდა დრო. მთას გამოუჩნდნენ ქომაგნი. რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა სიცოცხლე დაებრუნებინა მთებისათვის, გამოეყენებინა მისი სიმდიდრე.

დაიწყო მთების აღორძინება. ბევრმა იბრუნა პირი მიტოვებული სოფლისაკენ. სიცოცხლე უბრუნდება მთებს. ნაბილიკარზე ბილიკი იკლაკნება, ნასახლარზე სახლი შენდება, ნასოფლარზე სოფელი...

სათიბებში კვლავ გამოჩნდა ცელი, სამოვარზე ცხვარ-ძროხა, კვლავ გაიხარა ადგილის დედამ, ახლა შატილში ცამეტი კომლია, ხოლო შატილის სასოფლო საბჭოში—სამოცდათერთმეტი. რა თქმა უნდა, ეს ჯერ კიდევ ცოტაა, მაგრამ როგორც ამხ. ე. ა. შევარდნაძე წერდა ხევსურებისადმი გაგზავნილ წერილში, ეს „პირველი ნაბიჯია, ფუძეა მხოლოდ მომავლისა, მაგრამ ეს ფუძე მკვრივია და საიმედო, რადგან მისი ხუროთმოძღვარი და მშენებელია ხალხი, პარტია და სახელმწიფო. რა დაუდგება წინ ასეთ ძალას!".

შატილის ფერისცვალება, მისი დღევანდელი ხარახოები და მომავლის გეგმები ხევსურთა შეძლებული, კულტურული ცხოვრების საუკეთესო პირობებს ქმნის. ახლა შატილში ძველი ციხის ახლოს ახალი საცხოვრებელი სახლები შენდება, მათი განლაგებაც ძველი ციხის ნაგებობას მოგვაგონებს—ისეთივე გადასასვლელები, საერთო აივნები... თითქოს ერთი სახლი მეორეს ერწყმის, მაგრამ მსგავსებასთან ერთად დიდი განსხვავებაც არის. აქ ახალმოსახლეებს ექნებათ ცხელი წყალი. კედლებში ჩაშენებული სარეცხი მანქანები, ერთი სიტყვით, აქ ისე იცხოვრებენ, როგორც ქალაქში. მიმდინარეობს მდინარე არღუნისა და შატილის ხევისწყლის ნაპირის გამაგრების სამუშაოები, დაწყებულია ჰიდროელექტროსადგურის ახალი აგრეგატის მონტაჟი, შენდება კაშხალი. გიორგიწმინდასა და მუცოში მიმდინარეობს გზის მშენებლობა. ზაფხულობით დადის ავტობუსი შატილ-ბარისახო-თბილისი. ზამთარში კი, როცა უღელტეხილი იკეტება, ავტობუსს ვერტმფრენი ცვლის. შატილში წკრიალებს სკოლის ზარი, ამჯერად ოთხი თვალხატულა გოგო-ბიჭი ცოდნას ეუფლება.

შატილის სასოფლო საბჭოში თხუთმეტი დეპუტატია — თავიანთი სოფლის, მისი წარსულისა და აწმყოს მოტრფიალე 15 ადამიანი. მათი ინიციატივით ეწყობა შაბათობები სახლების ასაშენებლად, კოლექტიური თიბვა პირუტყვისათვის საკვების მარაგის შესაქმნელად. სოფელს ახალგაზრდა კაცი, ინჟინერ ეკონომისტი ირაკლი ჭინჭარაული თავკაცობს. სულ ახლახან გაიხარა შატილიონმა მისი დაქორწინებით. ეს იყო მთაში მობრუნებულ ხევსურთა პირველი ქორწილი შატილში. სხვა საჩუქრებთან ერთად მზიამ და ირაკლიმ შატილის ძირში აღმართულ სახლში დაიდეს ბინა.

ჯერ მხოლოდ ერთი წლისაა ცეკავშირის შატილის მეცხოველეობის მეურნეობა, მაგრამ უკვე გადადგა პირველი ნაბიჯები, თავდაპირველად მეურნეობის პირველმა მეცხოველეებმა 55 ტონა ხორცი დაამზადეს. მომავალში დაამზადებენ ყველს, ერბოს, ხევსურულ სუვენირებს, სამკურნალო მცენარეებს, რომლითაც ასე მდიდარია ხევსურეთი.

მეურნეობას ხელმძღვანელობს ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, თავისი მთებისა და ჭიუხების დიდი ტრფიალი მიხეილ ჭინჭარაული, რომელსაც მშობლიური მიწის ყივილმა გადააწყვეტინა დაეტოვებინა ეკონომიკის ინსტიტუტი, დაბრუნებოდა მთას და თავისი წვლილი შეეტანა შატილის აღორძინებაში.

გასული საუკუნის ბოლოს დიდი ვაჟა შენიშნავდა, რომ ხევსურეთი, რომელიც მაშინვე აღაფრთოვანებდა ათასობ უცხოელ ტურისტს, ქართველთათვის თითქმის უცნობი მხარე იყო: რა მოსდ ქართველ ინტელიგენტებს, ერთხელაც . არ შემოიხედავენო, არ დაგვხედავენ... დღეს კი ხევსურეთის ბედი ერთნაირად აინტერესებთ მწერალსა და მხატვარს, მშენებელსა და მსახიობს, კავშირგაბმულობისა და ჯანმრთელობის დაცვის მუშაკს, ავიატორსა და რკინიგზელს; ყველას, ვისაც უყვარს თავისი ქვეყანა მთით და ბარით. ამიტომ არ უშინდებიან სიშორეს, მიდიან, ნახულობენ, ფიქრობენ მის მომავალზე, დახმარების ხელს უწვდიან. სწორედ ამ დახმარებისა და ზრუნვის შედეგი იყო, რომ შარშან ოქტომბერში ხევსურეთში ცისფერი ეკრანი აციმციმდა, რომლის დანახვაზეც 80 წლის მზექალა ჭინჭარაულმა პირჯვარი გადაიწერა, ხოლო როცა ვიღაცის ხელი გამოსახულების გასწორებას შეუდგა, მოხუცმა ვერ მოითმინა და შესძახა: „თავ დაანებე, ვუყუროთ, ეს ხომ სასწაულია". მშრომელი კაცის ხელით შექმნილი სასწაულები გზას იკაფავს ხევსურეთში და ოცნებას სინამდვილედ აქცევს.

ხარახოებში გახვეულა შატილი და ოცნებობს მალე ყველა ნასახლარზე აშენდეს სახლი, არაგველების ნაკვნარზე დაირწეს აკვნები. მზექალას, შუქიას, ვეფხვიას, იმედას სიცილ-კისკისმა ააზმიანოს მთები და ბებერი ციხის ქონგურებმა, კვლავ მოისმინოს იმედიანი სიტყვები:

„არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა.
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა".

მედეა ცოტაძე

## იოსებ ნონეშვილის გახსენება

შენი სიკეთე ახლაც ანათებს,
ცოცხლად ამოდის: იად, ენძელად...
შენი სიცოცხლე ისევ ყვავილობს
და ეფინება ზეცას ნელნელა.
შენი სიკეთე ეხლაც თანა გვდევს,
თუმც უშენობა ყველას გვეძნელა,
შენი სიკეთე ეხლაც ყვავილობს,
ცოცხლად ამოდის იად, ენძელად.

## ნეტავ როდის?

ო, მე სულ მინდა თეთრი ვარდები
და ენძელები სულში მეკიდოს,
ნეტავი ისევ მომივარდები
იასამნების სურნელო დიდო?
ნეტავი როდის აიწევს გული
დაგინახო და გამოგეკიდო.

მერი ვალაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხუთასი გადარჩენილი სიცოცხლე ანუ



# მონოლოგი დაბადებამდე გადარჩენილთა ფოტოსურათებიდან

— ლამაზო ბავშვო, არ მინდა იცოდე ის, რასაც ახლა შენს სურათს ვეუბნები. შენმა მშობელმა, ორი შვილის დედამ მთხოვა: მესამე მიჩნდება და არ მინდაო. — როცა კატეგორიული უარი ვუთხარი, ატირდა, რომ დაგიცავი, იმიტომ ატირდა. დღეს კი შენზე გიჟდება. მთელი ჩემი სიცოცხლე შემოევლოს ჩემ ხუჭუჭთმიან ბიჭსაო.

გინეკოლოგი ქალი ახლა ალბომის სხვა სურათს მიესიყვარულა. ტყუპი გოგონები იყო გამოსახული ფოტოზე, რომელსაც წარწერა ჰქონდა: „ჩვენს გადამრჩენელს — პელო კანკავას".

კვლავ იფურცლება ალბომი...

— ამისი დედაც ცივი უარით გავისტუმრე, — მეუბნება გაღიმებული ექიმი და მაჩვენებს ახოვანი ვაჟკაცის სურათს, — ყოველ რვა მარტს მილოცავს მადლობის სიტყვებით.

სურათი „ლაშა და იმედი" წალენჯიხიდან გამოუგზავნია დედას — ნარგიზას.

ფოტოები, წარწერებიანი ფოტოები, გულითადი მადლობის წერილები...

წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიიდან შუშანიკა სამუშია იწერება:

„1949 წელს მოვედი თქვენთან. მკითხეთ — რამდენი შვილი გყავსო? — სამი გოგო და ერთი ბიჭი მეთქი. — ესეც დაიტოვეთ, — ნაბოლარები მეტწილად ფენომენები არიან — თქვით თქვენ მტკიცედ, რა ექნა, დაგიჯერეთ, ბედნიერი რჩევა გამოდგა. ბიჭი დაიბადა, მაგრამ რა ბიჭი! ახლა ცოლშვილიანია. ირკუტსკში მუშაობს, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსია".

ალბომში ბევრია წარწერებიანი ფოტო: „საყვარელ პელო ბებიას ლევან ყუფუნიასაგან", „დიდი მადლობა, ოქროპირ ჯიქია" და ა. შ.

ქუჩაში მიმავალს უცნობი ახალგაზრდა ქალი გადაეხვია, თვალები დაუკოცნა, მიესიყვარულა:

— არ გახსოვართ, ხომ? მე კი გიცანით, თუმცა ცოტა გამოცვლილხართ. რამდენიმე წლის წინათ ვიყავი თქვენთან... — ხალხმრავლობა იყო ქუჩაში და უცნობმა ხმას დაუწია...

— გთხოვეთ, გეხვეწეთ, მაგრამ აბორტი არ გამიკეთეთ, ასე მითხარით, გოგო, მე რათ მინდა შენი კაპიკები. ორი ბავშვი გყოლია. ისედაც ცოტანი ვართ ქართველები. ეს აუცილებლად უნდა შეინარჩუნოო! იმ უარის გამო მაშინ ვიტირე, ახლა კი მადლობას გეუბნებით. ბიჭი დაიბადა და მერე როგორი! ნეტავი, ყველა ჩემს მოკეთეს ეყოლებოდეს იმისთანა. ახლა უკვე დიდია. მოვუყევი, როგორც იყო საქმე, მთხოვა, მაჩვენე ჩემი გადამრჩენელიო, მართლაც მოვალთ.

ერთხელ შვიდშვილიანმა დედამ თხოვა მერვე ორსულობის მოშლა, ამაზე რომ ექიმმა უარი უთხრა, ქალმა ჰკითხა: — რამდენჯერ შეიძლება ორსულობა?

— სანამ ადამიანის ჩასახვა ხდება! — იყო მტკიცე პასუხი. — მე არ შემიძლია მკვლელი ვიყო, —მე არ ვიცი ვინა გყავს მუცელში, ეგებ შოთაა! ეგებ გალაკტიონი!

უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ერთ ლამაზ ქალს მთელი ლექცია წაუკითხა, — ჯეირანივით ქალი ხარ, შენი შვილი უსათუოდ კარგი იქნება. ასი წლის წინათ, გაჭირვებაში მყოფებს, ქოხში მცხოვრებთ, ჰყავდათ ბევრი შვილი და ზრდიდნენ. ახლა რა გასაჭირია? თითქმის ყველას შესანიშნავი ბინები გვაქვს. ყოველ ნაბიჯზეა სამედიცინო დაწესებულება, საბავშვო ბაღი და სკოლა. ერთხელ და სამუდამოდ გაიგეთ: ქართველი ხალხი უნდა გამრავლდეს! მე ბავშვს ხელს არ ვახლებ. წადი ახლა შინ. ბოლოს მადლობას მეტყვი. შენ ალბათ გაგიგონია ლოლა ზარანდია ხობის რაიონის სოფელ საჯიჯაოდან, ჩვიდმეტი შვილი დაბადა და გაზარდა. ჩვიდმეტივე გზაზეა დაყენებული: — სწავლობს ან შრომობს.

ექიმი ალბომს არ ხურავს, მორიგ ფოტოს ეალერსება: — შენ? შენც ხომ ჩემი ხარ? კუდრაჭა მზია, ჰო, მგონი მზია გქვია...

— მე არ შემეძლო შენი და შენისთანების დახოცვა, არა!!

ექიმი — დიდი მოქალაქე პელო კანკავა აბორტმახერის სახით ჯალათს ხედავს.

და, ეს ნამდვილად ასეა!!!

ქალბატონ პელოს ფოტოალბომი ახალია — მხოლოდ 1963 წლიდან იწყება. როცა ურჩიეს, ასეთ სიკეთეს აკეთებ და ბარემ აღრიცხეო, — უკვე გვიანი იყო. წლების მანძილზე ასობით ქალი იყო მასთან და ხუთასზე მეტი ბავშვი შეჰმატა რესპუბლიკას. ამაზე ღაღადებს დაბადებამდე გადარჩენილთა ალბომი.

რამდენიმე ცნობა ამ მოღვაწე ქალზე: რესპუბლიკას დამსახურებული ექიმი პელო კანკავა ცხოვრობს ზუგდიდში, 1928 წლიდან პარტიის წევრია, 1936 წელს დაამთავრა სამედიცინო ფაკულტეტი, 23 წელი განაგებდა საფერშლო სკოლას. განაგებდა სპეტაკად, ისე როგორც ჭეშმარიტ ექიმსა და პედაგოგს შეეფერება. ეს იცის მთელმა ზუგდიდმა.

პელოს ახლაც ჩაესმის ყურში ლენინგრადელი პროფესორის იაკობ ალინიცკის სიტყვები. მას უთქვამს ქართველი მანდილოსნისათვის:

— ყველა ერი მატულობს, მაგრამ ისეთი კარგი ხალხი, როგორიც ქართველობაა, ნაკლებად იზრდება და ეს თქვენი ბრალია, ექიმებო!

... როცა წარმოვიდგენ, რომ ხუთმილიონიან საქართველოს ხუთასზე მეტი ბავშვი მარტო პელო კანკავამ შეჰმატა, თავისთავად მიჩნდება აზრი: ეს ქალი გახლავთ უვარსკვლავო გმირი, რომელსაც მთელმა ჩვენმა ხალხმა უნდა უთხრას მადლობა.

**შალვა შენგელი**

როცა ნომერი უკვე შესაკვრელად მზად იყო, შევიტყვეთ ქალბატონ პელო კანკავას გარდაცვალება. ჟურნალის კოლექტივი მწუხარებას გამოთქვამს ღვაწლმოსილი ექიმის გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახსა და ყველა პატივისმცემელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელი გაბრიჩიძე



## მესაჭალი

რას გეტყვის ჩემი ახალი წიგნი,
ვერ შეგისრულე, დაგპირდი რასაც...
მაინც გთავაზობ,
დამუნჯებულს უძნელეს ფიქრით,
და სინათლისთვის მეოცნებეს,
ვით... ერთ ღერ ასანთს.
ვეებერთელა სველ ფოთლებზე
წვიმის ფათქუნით,
აუხდენელი ამბორივით, ცხელი საფეთქლით,
მიტოვებული ნაფუძარით
თუ ნავსადგურით
გიახლოვდები,
ვით ღამეში და ერთადერთი...
თმაში უმწეოდ გახლართული იით,
ფუტკრებით, —
გიახლოვდები,
გემალები,
ისევ ვბრუნდები,
მარჩიელივით ქართლის ბედზე გებუტბუტები.
რას გეტყვის ჩემი ლექსი ახალი,
ხელის აქნევით მოიშორებ (?)
ვით უცხო აჩრდილს,
თუ... როგორც ხელში გასრესილი
მწიფე მაყვალი
თავს მოგაგონებს ერთხელ მაინც
საომრად გაჭრილს...

## ახალ ზეიმს გიმადლით

მიხეილ დავითაშვილს — დიდი სამამულო ომის ვეტერანს, გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორს, ქართული ჩაის დიდ პოპულარიზატორს, ახალი ტრადიციული ზეიმის — ჩაის კვირეულის პირველმოთავეს...

მართლაც მხოლოდ თქვენმიერს,
მოჩახჩახე სინათლით,
გონიერს და მშვენიერს —
ახალ ზეიმს გიმადლით.
მთელი რომანტიკაა
ლამაზ წიგნში ჩართული,
სადაც თქვენ ხართ, იქაა
„ჩაი ჩვენი, ქართული“...
მოთმინებით იგარსვით
მტრისგან მიმოჩეხილი,
წამომდგარი, ვით ვაზი,
ვით ნასეტყვი ხეხილი.
....როს სიკვდილმა შეგბოჭათ,
სად იყო და სად არა,
ალბათ ნატვრად შემოგრჩა
ჩაი — ერთი მათარა...
ხომ გადარჩით, მსურველი
ალმოჩენის, ძიების,
ხომ ისუნთქეთ სურნელი
ქართულ პლანტაციების;
ხომ ტრფიალით გაჰყურებთ
სახნავსა თუ საძოვარს,
ხომ სიცოცხლე არგუნეთ
ფიროსმანის სამოვარს!!!
და გაზეთი — ფრინველი —
გახდა თქვენთვის მთავარი,
გყავთ მოლაშქრე პირველი —
ყუფუნია თამარი.
აღარ გელამაზებათ,
თუ ცა მოქუფრულია,
შორით გებაასებათ
ათასი ყუფუნია!
თითქოს გაწვიმთ, როს ჩაის
მკრეფავები ზრებიან,
ხან — სეტყვაა კოჭამდის,
სად ვეება ზვრებია...
ამბობთ, ძველი დავტოვოთ,
ახალშია მშვენება,
თქვენნაირ კაცს, ბატონო,
ტყვილიც დაეჯერება...
კაბინეტში, ჭიქიდან,
მწვანე ჩაი ანათებს;
ლიხს აქეთ და იქითა
თქვენთვის წერენ ბარათებს.
მეც ეს ლექსი ეული,
ასე სახელდახელო,
დამქონდა მტკივნეული,
როგორც დაჭრილს — სახელო...
ახლა გიმხელთ, — თქვენმიერს,
დაბედებულს სინათლით,
თვინიერს და მშვენიერს,
ახალ ზეიმს გიმადლით!..

# აკაკი გელოვანი—60

მწერალსა და მოღვაწეს — აკაკი გელოვანს დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა. მკითხველი საზოგადოებრიობა გულთბილად შეხვდა შემოქმედის ცხოვრების ამ ნაყოფიერ საშუადღევს. აკ. გელოვანის საკუთარი და თარგმნილი წიგნები უყვარს მკითხველს: მათ შორის „მარად ცოცხალი ხელოვნება“, „სახალისო ბიბლია“, „ოქროს საწმისი“, „სვანეთის თეთრი ქუდი“. „სვანური ბალადები“, „შოპენის გული“, „დაფერფლილი დიდება“, „სვეტი ნათლისა“... გოეთე, ჰაინე, გრიფიუსი, ცვაიგი, იბსენი — აი ის შემოქმედნი, რომელთა ქმნილებები აკ. გელოვანის კალამმა ქართულად აახმიანა. „საქართველოს ქალის“ მკითხველებისათვის განსაკუთრებით საინტერესოა ის ამბავი, რომ აკაკი გელოვანის მიერ თარგმნილი გრიფიუსის „ქეთევან ქართველი“ რუსთაველის სახელობის თეატრში წარმატებით მიდიოდა. იგი დადგა გერმანელმა რეჟისორმა, პროფესორმა ჰერმან ვედეკინდმა. ამჟამად აკ. გელოვანმა გამოსცა „დიდი მითოლოგიური ლექსიკონი“. მზადდება „რაფაელი“. აკ. გელოვანს ფართო კულტურული კონტაქტები აქვს უცხოეთის გამოჩენილ მოღვაწეებთან: მათ შორის ჰუპერტთან, კუბასთან, ლაქსნესთან, როზემარია შუდერთან და სხვებთან.

„თქვენ ალბათ რთველი გაქვთ, გაწეული ნათელი ღვაწლისა, სიკეთისა... ჩვენ, თქვენი თანამოკალმენი, თქვენი მეგობრები კვლავაც მოველით თქვენს წარმატებებს“. ...თითქოს ჩვენი სათქმელი მისწერა პოეტმა ელენე დიდიმამიშვილმა 60 წლის აკაკი გელოვანს.

ჩვენი ჟურნალის რედაქციის კოლექტივი ულოცავს თავის ერთ-ერთ აქტიურ ავტორს ამ საიუბილეო თარიღს, რაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით აღინიშნა.



გერმანელი მწერლები — როზემარია შუდერი და რუდოლფ ჰირში სტუმრად აკაკი გელოვანთან. 1968 წ.

არსენ ნიჟარაძის ფოტო

## ქეთევან დედოფალი

ბედის წიგნი უბოძეს,
იმედებით სავსე,
საქართველოს გვირგვინი
დაახურეს თავზე;
შაჰის ტახტი დაუთქვეს —
ცეცხლის ტახტზე დაჯდა;
გლეჯდნენ, ლადარს აყრიდნენ, —
კვნესაც კი არ დასცდა.
ზეცამ შუბლი შეიკრა,
დაიბურა წამსვე —
ჩვენი შუქურ-ვარსკვლავი
ალმობრწყინდა ასე.

აკაკი გელოვანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუნუ ჟადაგიძე



# იდეალური დიასახლისი

— ალო! ტექნიკურ სიახლეთა ბიუროა? როდის მალირსებთ იმ თქვენს დაპირებულ „იდეალურ დიასახლისს?"... უკვე მზად არის? კიდევ კარგი, თორემ უკვე სადღაც ვაპირებდი გაქცევას. ჩემს ბინაში ცხოვრება აღარ შეიძლება, ისეა არეული... დიახ, მართლაც იდეალური საჩუქარია მარტოხელა კაცისთვის... რა ჰქვია? „კიმი"? — კიბერნეტიკის იდეალური მოდელი. მშვენიერი სახელია. როდის მოვიდე წამოსაღებად?... როგორ? თვითონ მოვა? მერე მომაგნებს?.. ნუთუ ასეთი ნიჭიერია?... დიახ, სიზუსტე მართლაც კარგი რამეა, მაგრამ მე რომ არ მიყვარს სიზუსტე?... კიმი ალბათ მართლა გამომასწორებს. ზუსტი მითითება სჭირდება და ყველაფერს უდიდესი სიზუსტით შეასრულებს, არა?... არაფრით არ მოეშვება, ხომ?.. შედეგს მომახსენებს, თან დრო უნდა დავუნიშნო, ძალიან კარგი.

გედიმ ტელეფონის ყურმილი დადო და შვებით ამოისუნთქა. როგორც იქნა, ეშველა. ბინაში უახლესი მოდელის „იდეალური დიასახლისი" ეყოლება. ბინას დაულაგებს, საჭმელს დაუმზადებს. მეტი რა უნდა უცოლო კაცს? თანაც ისე, რომ გედი ვალდებული არ იქნება დიდი მადლობა გადაუხადოს ან კაფეში დაპატიჟოს, ან სუნამო უყიდოს. რა ბედნიერებაა! თანაც რა სულზე მოუსწრო. ბინა ასე არეული ჯერ არასოდეს ჰქონია. დღეს კი, ამ საღამოთი გედი ახლადგაცნობილ მეგობარ ქალს ელოდება, მეტად მაცდუნებელ, ლამაზ არსებას. სახელიც ისეთი მაცდუნებელი ჰქვია, — დალილა. გედი ღიმილით თავისთვის ჩუმად იმეორებდა ამ სახელს, ძალიან მოსწონდა ეს ახალი ნაცნობი. ასე, რომ დღეს როგორც იტყვიან, სხვა ვარიანტი არ არსებობდა, ბინა აუცილებლად უნდა დაელაგებინა და ახლა ეს „იდეალური დიასახლისი" პირდაპირ ტუზივით დაეცა.

— ტექნიკა მართლაც კარგი რამეა. — დაასკვნა გედიმ, როცა პირის გაპარსვა დაამთავრა და საპარსი იქვე დაუდევრად მიაგდო. ეს ერთადერთი საქმე იყო, რასაც ყოველდღე ყურადღებით აკეთებდა და, ახლა, ამასაც გვერდი აუარა, მოვა ის რკინის ანგელოზი და ყველაფერს მოუვლისო. ბოლოს, როცა საუზმესაც მორჩა, ზარის ხმა გაისმა. ვიღაცა ზარს ხელის აუღებლად, დაჟინებით რეკდა. გედიმ სასწრაფოდ გააღო კარები. მის წინაშე ადამიანის ზომის რობოტი იდგა.

— კეთილი იყოს შენი მობრძანება.

რობოტმა ყურიც არ ათხოვა გედის მიპატიჟებას.

— მეშვიდე კვარტალი, მეორე კორპუსი, პარალელი... მერიდიანი... გრინვიჩის დროით... ფუნქციათა გადაკვეთის წერტილი... განზომილება — გააბა ცივი, მონოტონური ხმით, გაოცებისაგან პირდაღებულ გედი ძლივს არჩევდა ნაწყვეტ-ნაწყვეტ სიტყვებს.

— შენ ჩემზე კარგად გცოდნია ჩემი მისამართი. შემოდი და საქმეს მიხედე.

კიმიმ როგორც იქნა, დაამთავრა გედის მისამართის ზუსტი მათემატიკური ანალიზი და ბინაში შევიდა.

— როგორც გატყობ, დიდი გენიოსი ბრძანდები. — სიცილით ამბობდა გედი. — რას იზამ, მაინც ისეთ რამეებს გამიკეთებ, რაც გენიოსებს მაინცდამაინც არ ეკადრება. აბა, დავიწყოთ, ჯერ სამზარეულო დაალაგე.

— ზუსტი კოორდინატები, მიმართულება, დრო. — დაიზუზუნა კიმიმ.

— მიმართულება? — შენგან მარჯვნივ, სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაშორება ოცი ნაბიჯი. დრო ალბათ ერთი საათი დაგჭირდება, იმდენი ჭურჭელია დასარეცხი.

კიმი დინჯად შეტრიალდა სამხრეთ-აღმოსავლეთით, გამოზომილი ნაბიჯებით შევიდა სამზარეულოში და გედისთვის მოულოდნელი სიმარჯვით შეუდგა საქმეს. მის შემყურე გედის სიამოვნების ღიმილი გადაეფინა სახეზე, არხეინად გადაწვა სავარძელში და ცხვირი ჟურნალში ჩარგო. თავი მხოლოდ მაშინ ასწია, როცა კიმის მონოტონური ზუზუნი შემოესმა.

— კიმიმ შეასრულა მითითებული პროგრამა. დანიშნული დრო ამოიწურა.

გედის გულიანად გაეცინა. კიმის მკერდზე დიდი წითელი პეპელა მისჯდომოდა. პეპელა მაგნიტზე იყო დამაგრებული და ამიტომაც მიეწება კიმის რკინის კორპუსს. (ეს პეპელა გედის ერთმა მეგობარმა ქალმა აჩუქა). იმ ქალს ძალიან უყვარდა სათამაშოები. კიმი ბაიბურშიც არ იყო, პეპელას ვერ ამჩნევდა.

— ეს პეპელა ძალიან გიხდება, კიმ. — სიცილით თქვა გედიმ და სავარძლიდან წამოდგა. — მოიცა, ასე უფრო უკეთესი იქნება. — გედიმ პეპელა მკერდიდან ააცილა და თავზე დაასკუპა. კიმის თვალები ნათურებივით აენთო.

— ჰო, ჰო, მგონი შენც გიხარია ლამაზი პეპელა — გადაიხარხარა გამხიარულებულმა გედიმ. — იარე ასე პეპელით და თან საქმე აკეთე. აგერ, ეს ნოხი დაბერტყე. — გედიმ ლამაზ, ძვირფას ნოხზე მიუთითა — აივანი სამხრეთითაა, შენგან მარცხნივ. ათჯერ, არა, უკეთესია ოცჯერ გადაბერტყო. მერე ფეხსაცმელები გამიპრიალე შავი საცხით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიმი თითქოს რაღაცას ფიქრობდა. თვალები ხან აენთებოდა, ხან ჩაქრებოდა.

— არ გესმის? — განცვიფრდა გედი — შენი ქებით კინაღამ ყურები გამომიჭედეს ამ დილით და შენ უკვე მწყობრიდან გამოხვედი? აბა, ცოცხლად შეასრულე, რაც გიბრძანე. — და გედიმ ისევ ჟურნალში ჩარგო ცხვირი.

კიმი ზანტად ამოძრავდა თავზე წითელი პეპლით. ნელა მიუახლოვდა გედის, მის წინ დაიხარა და ფეხებით დაითრია აივნისკენ. გაოგნებულმა გედიმ „ვაის" დაძახებაც ვერ მოასწრო, რომ უკვე ფეხებით ეკიდა აივანზე და კიმი ნოხივით ბერტყავდა.

— ეი, რას აკეთებ, შე რკინის ურჩხულო, შეჩერდი, ახლავე...— აყვირდა თავდაყირა დაკიდებული გედი, მაგრამ კიმის მისი არ ესმოდა. — მიშველეთ, მიშველეთ. — მორთო ყვირილი და მაშინვე შეწყვიტა. მის ხმას მაინც ვერავინ ვერ გაიგებდა, ისე ხმაურობდნენ სადღაც მის ქვემოთ ქუჩაში მიმქროლავი მანქანები — ვაიმე, ხელი მაინც არ გამიშვას, ფეხსაცმელი არ გამძვრეს, თავს მიმახეთქებინებს რაიმეზე...

კიმიმ ბერტყვა დაამთავრა, გედი ღონივრად მოიქნია და ისევ სავარძელში ჩაუძახა. როგორც კი ფეხებიდან რკინის მარწუხები მოეშვა, გედი მაშინვე წამოხტა და ტყვიასავით გავარდა მეორე ოთახში, თუმცა ჯერ სულიც არ მოეთქვა და მთელი ტანით ცახცახებდა.

— უჰ, მგონი გადავრჩი, — ამოისუნთქა გედიმ. თვითონაც არ სჯეროდა რომ ასე იოლად გადარჩა. სახეზე და ტანზე ხელები მიისვ-მოისვა და ცოტათი დაწყნარდა. მეორე ოთახიდან კიმის საქმიანი ნაბიჯების ხმა ისმოდა.

— რას აკეთებს ნეტავი? — გედიმ ძლივს გაბედა, კარები ოდნავ გამოაღო და ფრთხილად შეიჭვრიტა. კიმი ძვირფას ნოხს აპრიალებდა შავი საცხით. მის თავზე წითელი პეპელა ფრთებს აფამფალებდა.

— სულ მთლად გაგიჟდა. — თავისთვის ამოიკვნესა სასოწარკვეთილმა გედიმ, კიმის ვერაფრის თქმა ვერ გაუბედა. ვინ იცის, ჩემს ბრძანებას როგორ გაიგებს და შეატრიალებსო. ჯანდაბას ეგ ნოხი, ოღონდ ცოცხალი გადავრჩე. სანამ მაგას აპრიალებს, მე იმათ მოველაპარაკები.

— ალო! ალო!.. ერთი მობრძანდით და ნახეთ, რას აკეთებს თქვენი „იდეალური დიასახლისი". ჯერ იყო და ნოხის მაგივრად მე დამბერტყა, ახლა ნოხს ფეხსაცმელების მაგივრად აპრიალებს. ყველაფერი უკუღმა ესმის. შიშით ახლოს ველარ ვეკარები. ახლავე მომაშორეთ აქედან... მე ყველაფერი ზუსტად მივუთითე... როგორ? რაღაცამ გადაანაცვლა მიწოდებული ინფორმაციები? მერე, რა უნდა იყოს ეს რაღაცა... ჭექა-ქუხილი? არა, არ გამიგონია, მგონი არ ყოფილა... არა, არც ბინაში მაქვს რაიმე ელექტრომაგნიტური ველი, არაფერი მაგის მსგავსი... ჰო, თუმცა კიმის თავზე აზის დიდი მაგნიტური პეპელა... რაო? მაგას აურევია ყველაფერი?... ააა, გასაგებია. კარგი, მოვაშორებ ამ პეპელას, მაგრამ რა გარანტია მაქვს, რომ რაიმე ხათაბალას კიდევ არ გადამკიდებს? სულ შიშის კანკალში უნდა ვიყო, არიქა მოწმენდილ ცაზე მეხი არ გავარდეს და კიმი კომბოსტოს დასაჭრელი დანით მე არ მომდგეს. როგორც გამოგზავნეთ, ისე წაიყვანეთ აქედან.. რაო? ყურადღებით ვიყო? სულ სმენაზე ხომ არ ვიქნები... არა, ვერც ვერასოდეს მივეჩვევი... გესმით? მე არ მინდა, ალო, ალო...

გედიმ ტელეფონის ყურმილი დაახეთქა და გამწარებით შეუკურთხა ყველა ტექნიკურ სასწაულს. მეორე ოთახიდან ისევ ისმოდა კიმის საქმიანი ნაბიჯების ხმა. გედიმ ფრთხილად შეიჭვრიტა. წელში ოთხად მოკეცილი კიმი ამთავრებდა ნოხის შავად გაპრიალებას, წითელი პეპელა ისევ ისე იყო მის თავზე დასკუპებული. გედიმ სუფრა დაახვია და კიმის თავში ესროლა, როგორც იქნა, მოსცილდა კიმის ის ბედნავსი პეპელა.

— კიმ, ჯაგრისი დააგდე და ვერტიკალური მდგომარეობა მიიღე — დაუყვირა გედიმ და ყოველი შემთხვევისთვის კარებს ამოეფარა. კიმიმ ზუსტად შეასრულა გედის ბრძანება.

— მადლობა ღმერთს, სწორად ესმის — შვებით ამოისუნთქა გედიმ და მაშინვე შემრიგებლური ტონით წამოიწყო კიმისთან მუსაიფი.

— მეტად კმაყოფილი ვარ, კიმ, რაც ჩემთვის გააკეთე. მაგრამ აწი აღარ მჭირდები და გთხოვ, აქედან წაბრძანდე.

— ინფორმაციის უზუსტობა. კიმიმ ვერ გაიგო, რას ნიშნავს „გთხოვ".

— კიმ, შემიბრალე და თავიდან მომწყდი.

— კიმიმ არც „შებრალება" იცის.

— კიმ, გიბრძანებ აქედან დაიკარგო.

— ინფორმაციის უზუსტობა. თქვენ მაძლევთ მხოლოდ საწყისი წერტილის კოორდინატებს. ეს არაა საკმარისი. უნდა მომცეთ საბოლოო წერტილის კოორდინატები, მიმართულება, დრო.

— საბოლოო კოორდინატები? ჯანდაბას შენი თავი.

— კიმიმ არ იცის, სად არის ჯანდაბა.

— სად არის და, ეშმაკებში!

— კიმიმ არც ეშმაკები იცის, მომეცით ზუსტი კოორდინატები.

— გაჩუმდი შე რკინის ურჩხულო, თორემ თავს გაგიხეთქავ, — დაუყვირა მოთმინებიდან გამოსულმა გედიმ და ყურებზე ხელები აიფარა, რომ კიმის პასუხი აღარ გაეგონა.

— ჰო, მე ვიცი სადაც არიან ეშმაკები და პირდაპირ იქ გაგიშვებ. — ჩაილაპარაკა ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ და ტელეფონების ცნობარიდან ტექნიკურ სიახლეთა ბიუროს მისამართი ამოქექა. ყველაფერი კარგად მოიფიქრა და დააზუსტა, ნერვები აღარ ამეშალოსო და კიმის დაწვრილებით უკარნახა სამოქმედო გეგმა.

— მომისმინე, კიმ. გახვალ ჩემი ბინიდან. გადაადგამ მარცხნივ ხუთ ნაბიჯს. იქ ლიფტია. დააჭერ ხელს ღილაკს. კარები გაიღება. შეხვალ ლიფტში. ჩახვალ სადარბაზოში. იქიდან გახვალ ქუჩაში. ივლი ჯერ სამხრეთით, მერე მოუხვევ სამხრეთ-დასავლეთით. ერთი საათის შემდეგ მიადგები ფართოპანელიან შენობას. მეცამეტე ნომერი. აბა, ცოცხლად. ზურგისაკენ.

კიმი შეტრიალდა. გედი სასწრაფოდ გავარდა და კარი გააღო.

— ხუთი ნაბიჯის შემდეგ ლიფტის ღილაკი. — მიაწოდა დამატებითი ინფორმაცია გედიმ, თან კარიდან უთვალთვალებდა, კიმიმ მიაღწია ლიფტს და ღილაკს ხელი დაადო. გახარებულმა გედიმ კარი მიაჯახუნა:

— გადავრჩი.

ისეთი შვება იგრძნო გედიმ, ის დიდებული ნოხიც აღარ ადარდებდა. ახლა უკვე სასაცილოდ მოეჩვენა ყველაფერი. სახლიც დაულაგებელი დარჩა, მაგრამ არა უშავს, ოღონდ ის რკინის ურჩხული ნუ იქნება და როგორმე თვითონ მოვახერხებ რაიმესო. გედიმ ნელ-ნელა აითრია წელი, მერე თანდათან გახალისდა, და სულ მალე პარკეტზე მოცეკვავესავით დაბზრიალდა. სიმღერაც კი წამოიწყო „შენ ერთადერთი ხარ ჩემი ღმერთი". ღიღინებდა თავისთვის და თვალწინ დალილას სახე ედგა. მერე საუზმის დამზადებას მიჰყო ხელი. აქ კიდევ უფრო გამხიარულდა, საჭმელის დამზადება შედარებით კარგად ეხერხებოდა.

ზარის ხმა გაისმა.

— არიქა, მოვიდა... — გედიმ სასწრაფოდ მოიხსნა წინსაფარი, გადაისროლა და გაქონილი ხელები დაიბანა, თმაზე ხელი გადაისვა. ზარის ხმა არ წყდებოდა გაბმით წკრიალებდა. გედიმ ტანსაცმელი მიისწორ-მოისწორა და კარისაკენ გაქანდა. — რა ამბავია დაინგრა ქვეყანა და ესაა. — იცინოდა გედი კარის გაღებისას, მაგრამ როცა კარი გააღო, სიცილი ნილაბივით შერჩა სახეზე. კარებში კიმი იდგა.

— შენ ისევ მოხვედი?

— ლიფტის კარები გაიღო. დანიშნული დრო გავიდა. ოპერაციის ჩაშლის შემთხვევაში კიმი უბრუნდება საწყის წერტილს.

გედიმ ლიფტისკენ გაიხედა. ახლაღა შენიშნა ცარცით მიჩხაპნილი წარწერა, ლიფტი არ მუშაობსო.

— კიბეებზე ჩასვლა არ შეგიძლია?

— ადამიანებზე ორჯერ უფრო სწრაფად.

— მერე რატომ არ ჩახვედი?

— ინფორმაციის უზუსტობაა. ასეთი ბრძანება მე არ მიმიღია. კიმი ელოდება შემდეგ ბრძანებას!...

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საძილე გარნიტური „ზარია“

# რამდენიმე კითხვა თბილისური ავეჯის თაობაზე

თბილისის ავეჯის საწარმოო გაერთიანება „განთიადი“ არსებობის საკმაო დროს ითვლის. იყო პერიოდი, მომხმარებელს მოსწონდა მისი ნახელავი, ზოგჯერ კი საყვედურიც დასცდენია უვარგისი ნაკეთობის გამო. დღეს კი, როცა საწარმო ახალგაზრდა აღარ არის, აღარავინ აპატიებს შეცდომას, მოუნდომებლობას, უგემოვნებობას, წუნს.

თბილისის ავეჯის საწარმოო გაერთიანების დირექტორთან შალვა გიგალაევთან დიალოგი, სანამ ნაწარმის ხარისხზე დაიწყებოდა, მუშა-მოსამსახურეთა საწარმოო და საყოფაცხოვრებო პირობებს შეეხო:

**— როგორც მოგეხსენებათ, ადამიანს შრომაში ძალიან შველის კარგი გუნება-განწყობა. ამას კი მოწესრიგებული სამუშაო უბანი, სანაქებო სამუშაო პირობები, აწყობილი ოჯახური ცხოვრება და მშვიდი შინაური გარემო განსაზღვრავს. როგორია ამ მხრივ თქვენი 1400 მუშა-მოსამსახურის ირგვლივ არსებული ატმოსფერო, გუნება-განწყობა?**

— მე ვიტყოდი, სათაო საწარმოს მშრომელებს მუშაობაში ხელი არ უნდა შეეშალოთ მათი მოთხოვნისა თუ სურვილის დაუკმაყოფილებლობის გამო. ისინი კეთილმოწყობილ, ახალი ხაზებით დაპროექტებულ საამქროებში მუშაობენ. ახალი მექანიზაციის შედეგია, რომ შარშან, შარშანწინდელთან შედარებით, 3, 5 მილიონ მანეთით მეტი პროდუქცია გამოვუშვით, ისე, რომ მუშათა რიცხვი არ გაზრდილა.

მძიმე ფიზიკური შრომა აღარ ასვამს დალს მუშათა ჯანმრთელობას. მათი კვება მოწესრიგებულია, საუკეთესო ახალი სასადილო მუდამ ამზადებს ცხელ კერძებს. მუშებისათვის, მათი ოჯახის წევრებისათვის აგებული ახალი კულტურის სასახლე ჩინებულად მუშაობს. სასახლეში სხვადასხვა თვითმოქმედების წრეა, სადაც ვლინდება ნიჭი, უნარი. ეწყობა მხატვრული ღონისძიებები. ქალაქში ალბათ ბევრ საწარმოს არა აქვს ასეთი კარგი ბაგა-ბაღი. ზაფხულობით აღსაზრდელები წყნეთში, საკუთარ აგარაკზე ისვენებენ. შეუფერხებლად ვამარაგებთ მშრომელებს პროდუქტებით და სამრეწველო საქონლით. მუშის საშუალო გამომუშავება 250 მანეთია. ისინი ყოველთვიურად იღებენ პრემიას, წელიწადში ერთხელ ეძლევათ „მეცამეტე ხელფასი“. საწარმოში გამოყოფილია ოთახი, სადაც სკოლიდან მოსული მუშათა შვილები პედაგოგთან ერთად ამზადებენ გაკვეთილებს. მშრომელთა ჯანმრთელობის სამსახურშია კარგად მოწყობილი სპორტული დარბაზი და სპორტული სექციები, საექიმო პუნქტი, ექიმ-სტომატოლოგი და ექიმ-თერაპევტი.

**— ძირითადად საიდან იღებთ ახალ კადრებს და როგორია მათი მომზადების დონე?**

— კადრებს, ახალგაზრდა მუშებს თბილისის 79-ე პროფტექნიკური სასწავლებელი გვიზრდის, რომელსაც სათავეში უდგას ანზორ ნუცუბიძე. მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, ზოგი ადამიანი სრულყოფილად ითვისებს საქმეს, ზოგი კი ვერა და ვერ ეუფლება. და სწორედ ის, ვინც ვერ ახერხებს დაეუფლოს მეავეჯის რთულ და ფაქიზ პროფესიას, გვარცხვენს, სააშკარაოზე გამოფენს ხოლმე თავის შეცდომებს, რაც ხან კარადის სახელურის მორყევით მჟღავნდება, ხან მოსაპირკეთებელი მასალის შეურჩევლობით, ხანაც შპონების შერჩევის უცოდინარობით. ასეთ შემარცხვენელ ახალგაზრდას ვეუბნებით: „შეხედე, გვერდით მოწინავე გიდგას, ყოველდღე მასთან ტრიალებ, დაუკვირდი, მიბაძე მას. კადრები, მაღალკვალიფიციური კადრები წყვეტენ წარმოებაში ყველაფერს, ისინი კი ჩვენ გვაკლია.

**— ამიტომაც არის, რომ მომხმარებელი იწუნებს თბილისურ ავეჯს, უჩივის მის ცალკეულ ხარვეზებს?**

— კადრების გარდა, ბრალი რკინიგზის სამსახურსაც ედება, რომელსაც ავეჯის გადა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ოპერატორი ელიკო მარანელი

ზიდვა ევალება. მტვირთავები და გამგზავნები დიდად არ დაგიდევენ, მოირყევა თუ გატყდება საგამძლეოდ, რუდუნებით დამზადებული საწოლი, მაგიდა, კარადა ან სკამი.

**— გყავთ თუ არა მოწინავე ქალები? ჩაბმულნი არიან თუ არა სოციალისტურ შეჯიბრებაში?**

— სათაო საწარმოში მშრომელთა 40 პროცენტი ქალია. მათ შორის ბევრია ავტორიტეტიანი, გულდაჯერებით მშრომელი, ფაქიზი ხელით რომ ალამაზებს ავეჯის თითოეულ ნაწილს. ქების მეტი არაფერი გვეთქმის ნორა მაჩაიძის, ნურსია კარამურზინას, ცირა ხატელაშვილის, ელისაბედ გაბიევას, ელისო მარანელის ნაკეთობის შეფასებისას. მოწინავე ბევრი გვყავს, მათ წამახალისებელ ჯილდოებს ვანიჭებთ.

სოციალისტურ შეჯიბრებაში კი ჩვენს საწარმოს ივანოველი მეავეჯეები ჰყავს გამოწვეული. ივანოველები კარგ ავეჯს ამზადებენ. ახლა მათი საამქროები უნდა ნახოთ! სრული ავტომატიზაციაა. ისიც უნდა ითქვას რომ, თუმცა ამ მხრივ ისინი წინ არიან, 1981 წელს მაინც ჩვენ გავიმარჯვეთ სოციალისტურ შეჯიბრებაში. და მარტო ივანოველებთან კი არა, — მთელ კავშირში! ივანოვოში ჩასვლა, მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარება გვეხმარება პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში.

**— რადგან ხარისხი ვახსენეთ, იქნებ გაგვენდოთ, რა გზებს ეძებთ თბილისური ავეჯის ხარისხის გასაუმჯობესებლად?**

— ჯერი ახალგაზრდობაზეა. ბევრი ახალგაზრდა სწავლობს მოსკოვისა და ვორონეჟის ხე-ტყის მრეწველობის ინსტიტუტში. იმედია, მათი სპეციალური განათლება ბევრად წასწევს წინ ხარისხის საქმეს. მუშათა კადრებს მეტი მონდომება, შრომისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულების ჩვევის გაძლიერება სჭირდება. საწარმოში სისტემატურად ტარდება ხარისხის დღეები, სადაც მივუთითებთ ხოლმე წუნის მკეთებლებს.

გარდა ამისა, ტექნიკურ განყოფილებასაც მუშაობის გარდაქმნა მართებს, აუგად რომ არ მოიხსენიონ ჩვენებური ნაწარმი.

გეგმის შესრულებითაც ყოველთვის ვერ ვიწონებთ თავს. შარშანდელი გეგმა დიდი გაჭირვებით შევასრულეთ. საყვედური მომწოდებლების მიმართ უნდა ვთქვათ. ყაზანელები ვერ გვაწვდიან საჭირო მასალას. ის კი არა, სამტრედიელებმაც გვიღალატეს, აგერ ყურის მეზობლებმა. მაგრამ 24 მილიონი მანეთის ღირებულების ავეჯი წლის ბოლოსათვის, როგორც გეგმა ითვალისწინებდა, მაინც დამზადდა. ყაზანელებმა სიტყვა გატეხეს, არხანგელსკელები და კრასნოდარელები წამოგვეშველნენ — ხომ გაგიგონიათ „ძმაძმისთვისაო, შავი დღისთვისაო".

**— ქალების უმეტესობას ფაქიზი გემოვნება აქვს. მოგეხსენებათ, როგორ უყვართ მათ ბინაში ფუსფუსი, ავეჯის გადადგმა, ახლის შეძენა... და არც გაემტყუნებათ. ისინი ხომ მყუდროებასა და სილამაზეს ეტრფიან. ახალი, მოხერხებული, ლამაზი ავეჯი მათ ამ სიმშვიდის შექმნაში ეხმარება.**

**საინტერესოა, როგორ იცვლება ასორტიმენტი, რა სიახლეს გვპირდებით ახალ წელს?**

— გარდა იმისა, რომ გაერთიანება ყველა დანიშნულების ავეჯს უშვებს, ჩვენი საწარმო განსაკუთრებით იწონებს თავს საძილე გარნიტურით, რომელსაც „ცისკარი" ეწოდება. ახალი წლის სიახლე იქნება საძინებელი გარნიტური „ზარია", რომელსაც საყოველთაო მოწონება ხვდა და სახელმწიფო ხარისხის ნიშანზეა წარდგენილი. იგი ძვირი არ არის (857 მანეთი ღირს), მყუდროა, მოხერხებული და ლამაზი. „ზარიას" გამოშვება დაწყებულია და მისი შეძენით კარგ გუნება-განწყობილებას, ოჯახურ იდილიას ვუსურვებთ ყველას.

ჩაიწერა ლია კაკაბაძემ

ნ. კარამურზინა და ნ. მაჩაიძე





კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზუგდიდის ქალთა საბჭო. ცენტრში თამარ ქუჩულორია

# მისი ყოველი დღე

ზუგდიდში ბავშვიც კი იცნობს მარად ახალგაზრდული ენერგიით აღსავსე თამარ ქუჩულორიას. დიახ, ქალბატონი თამარი ბავშვებისა და დედების დიდი ქომაგი და მათი იმედია.

1968 წელს, როცა ქალთა საბჭო ჩამოყალიბდა, ზუგდიდელმა ქალებმა თავიანთი საბჭოს თავმჯდომარედ თამარ ქუჩულორია დაასახელეს. და იმ დღიდან დღემდე ვინ მოსთვლის ამ დარბაისელმა ქალმა რამდენი კეთილი საქმე გააკეთა!

ჯერ კიდევ 1969 წელს თამარმა ფუნიკულორის ფერდობზე ახალშობილთა პარკის გაშენებას მიჰყო ხელი. და გააშენა კიდეც! ამ პარკში თითოეულ ხეზე ქალბატონ თამარის ხელით სათუთად მიმაგრებულია ფირფიტები, რომლებზეც ახალშობილების გრიგოლ როგავას, ბესიკ ჩაჩიბაიას, გიორგი ზაქარაიას, ემზარ კვარაცხელიას, ელისო ყალიჩავას, ლევან დადიანისა და სხვათა გვარები და სახელებია წაწერილი.

წლები გაფრინდა. ახალშობილები ჭაბუკები და ქალიშვილები გახდნენ და სადაც უნდა იყვნენ, არ შეიძლება წელიწადში ერთხელ მაინც ამ პარკს არ მიაკითხონ და დიდი სიყვარულით არ მოიკითხონ ზუგდიდის ქალთა საბჭო და საბჭოს სულისჩამდგმელი თამარ ქუჩულორია.

დედა-ქალი მაშინ არის ბედნიერი და დამშვიდებული, მაშინ არის მისი შრომა ნაყოფიერი, როცა შვილი საიმედო ხელში ეგულებაო, — ამბობს თამარი და ქალთა საბჭოს წევრებთან ერთად ხშირად ამოწმებს ბაგა-ბაღების მუშაობას.

ეს მადლიანი ქალები ყოველწლიურად აწყობენ მრავალშვილიანი დედების შეკრებას, დედებს უტარდებათ ლექციები ბავშვთა აღზრდის თემაზე, გარდატეხის ასაკის ბავშვთა აღზრდის მეთოდიკაზე. იურისპრუდენციის საკითხებზე.

მრავალშვილიანი დედები მუდამ ქალთა საბჭოს ყურადღებით არიან გარემოსილნი, ეხმარება დედებს, აძლევს ფასიან საჩუქრებს.

ზუგდიდის ქალთა საბჭომ ქალაქის საწარმოებში სტენდი შემოიღო, სადაც მუშების სწავლაში წარჩინებულ შვილთა ფოტოებია მოთავსებული. ყველას სურს თავისი შვილის სურათი ნახოს სამზეოდ გამოტანილი. ამან კი, რა თქმა უნდა, ხელი შეუწყო ბავშვთა აკადემიური წარმატების გაუმჯობესებას.

ქალაქის რომელ საწარმოში არ ნახავთ ზუგდიდის ქალთა საბჭოს თავმჯდომარესა და მის წევრებს: მარო ნაჭყებიას, თინა მიქელაძეს, ტატიანა ბარძემაშვილს, ნანა ნასიძეს, ლენა გულუას, თალიკო ციმინტიას, ლამარა დგებუაძეს, ციალა ქირიას და სხვებს. ისინი ზრუნავენ ქალთა შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის. მათი ინიციატივითაა ბევრგან გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. შეჯიბრებაში გამარჯვებულნი ჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებითა და ქალთა საბჭოს სიგელებით.

ზუგდიდში ოთხასამდე ქალია კომუნისტური შრომის დამკვრელი. სოცშეჯიბრებაში გამარჯვებულთა ჯილდოები ხუთასმა ქალმა მიიღო.

ქალთა საბჭო აწყობს ქართული კერძების გამოფენას რესტორან „ზუგდიდის“ დიდ დარბაზში, სადაც მაგიდებზე ზუგდიდელი ქალების ჩინებული ნახელავის—ქართული კერძების ნაირსახეობაა. „გამოფენა ბევრი გვინახავს, მაგრამ ასეთი იშვიათად“, — წერდა გაზეთი „მებრძოლი“. ქალთა საბჭომ სიგელებით დააჯილდოვა კონკურსში გამარჯვებულნი.

მანვე 1973 წლის გაზაფხულზე ქალაქის დიასახლისებს შორის კონკურსი გამოაცხადა დევიზით: „ვიბრძოლოთ ჩვენი ქალაქის სილამაზისათვის, გავამწვანოთ და კეთილმოვაწყოთ ქუჩები, ტროტუარები, უზრუნველვყოთ ქალაქი ბოსტნეულით..“ ბოსტნის სავალდებულო გაშენებასთან დაკავშირებით შეიქმნა ქალთა ჯგუფები, რომელთაც დაევალათ სისტემატური კონტროლი და დახმარება გაეწიათ საოჯახო ბოსტნის აგროვადებში, აგროწესებით დამუშავებაში, რაც ხელს შეუწყობდა ბოსტნეულის უხვი მოსავლის მიღებას.

პირველად ორასზე მეტი ქალი ჩაება კონკურსში, მერე კი ისინიც აფუსფუსდნენ, ვისაც არასდროს ჰქონია ბოსტანი. ქუჩებსაც მზრუნველი დიასახლისის ხელი დაეტყო, ეზოსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ეზოს წინამდებარე ტერიტორიებზე ათასზე მეტი ხე დარგეს, დეკორატიულად გააფორმეს ეზოები, ქოთნებში ყვავილების ძვირფასი ჯიშები გამოიყვანეს. თვალს ატყვევებს ვეტერან-კომკავშირელის მარო ნაჭყებიას კარ-მიდამო, მისი ბაღ-ბოსტანი, ბუღალტერი მაგული ქობალიას ბოსტნის ფართობი 400 კვ მეტრზე მეტია. რა არ მოჰყავს იქ: კიტრი, ბადრიჯანი, ყველანაირი მწვანილი. მარტო პამიდორს სეზონში სამჯერ იწევს. ივნისში, როცა ბოსტნეული შემოსვლას იწყებს და ბაზარში კილოგრამი პამიდორი ძვირად ფასობს, მაგული 36-ე საბავშვო ბაღს უფასოდ აწვდის პამიდორს, ქინძს, ოხრახუშს, ბადრიჯანს. მან რვა ძირი ლობიოდან 35 კილოგრამი პარკი ლობიო მოკრიფა. მაგულის ტოლს არ უდებს პედაგოგი პაყვალა გარდავა. მაყვალას პატარა ეზოში უხვად ნახავთ გოგრას, პამიდორს, კიტრს, საზამთროს და სხვა ბოსტნეულს. თბილისის ქუჩაზე თუ გაივლით, არ შეიძლება ნადია ქუჩულორიას კარმიდამოსთან არ შეჩერდეთ. მისი სახლი, ეზო, აივანი ვარდნარშია ჩაფლული.

ბევრი სახელოვანი მებოსტნე და მებაღე ქალია ზუგდიდში. ყველას ჩამოთვლა ძნელია. ბოლო წლების მანძილზე 182 ქალს წილად ხვდა კონკურსში გამარჯვება.

მარტო შარშან დათვალიერება-კონკურსში საუკეთესოდ მიიჩნიეს: ხუნუ ქირიას, ლამარა დგებუაძის, მერი ჭანტურიას, ქეთო ხარებავას, ია ბაგათელიას, აგრაფინა ზარანდიას, ლოლა წერეთლის, ანტონინა ბურდუკის, ვალია ბოკუჩავას, ლოლა ფიფიას, მედიკო კუჭავას, აგრაფინა ჩიქოვანის, ნელი ჭაბუას, ბაბულია აბულაძის, ნინელი კვარაცხელიას და სხვათა საკარმიდამო ნაკვეთები. ეს ქალები უხვი მოსავლის მიღებისას ბოსტნეულის ნამატს უფასოდ აწვდიან საბავშვო ბაგა-ბაღებს. კონკურსი გრძელდება...

ზუგდიდის ქალთა საბჭოს ყოველდღიური საზრუნავი მაინც დედები და ბავშვები არიან. ამ მადლიანმა ქალებმა ბევრ გულცივ მამას მოუბრუნეს გული ოჯახისაკენ. ბევრი გზასაცდენილი ბავშვი დააყენეს სწორ გზაზე.

მუდამ სხვებისთვის ზრუნვაში გაფრინდა დღეები, წლები... კარგა ხანია თამარ ქუჩულორიას თმაზე ჩამოათოვა, მაგრამ მარად ახალგაზრდული ენერგიით აღსავსე ეს ვეტერანი კომკავშირელი კვლავინდებურად სიკეთეს თესავს და მუდამ საზრუნავით არის დატვირთული. მისი ყოველი დღე საინტერესო და საქმიანია.

**ოლია რევია**

# ლამაზი ქალი

ქუჩაში ლამაზი ქალი მიდის. მიდის და მიჰყვება კისერმოღრეცილ მამაკაცთა აღტაცებული, ცელქი მზერა. მიეფარება თვალს და შეჰლიმებენ ერთმანეთს წელში გამართული კაცები: „კარგი იყო, არა?“ „შესანიშნავი!“ „არა, ძმაო, ლამაზი ქალი მაინც სულ სხვაა!“ „ჭეშმარიტად! უყურებ და გიხარია!“ და ასე, ღიმილ-ღიმილით წავლენ თავ-თავიანთი გზით გახალისებულები. მშვენიერ ხასიათზე არიან. კარგი დღეა!

ლამაზ ქალს ქალებიც უყურებენ. თავისებური ქალური თვალით. ჩხრეკავენ, ზომავენ, მაგრამ... ლამაზია ის ოხერი: „ცისფერი, ღრმა, შუქიანი თვალები, ბუნებრივად გრძელი წამწამები, ცხვირი ნეფერტიტისა აქვს, ყელი ბარბარა სტრეიზანდისა.ოო, ტუჩზე ხალიც რომ უხდება! მაღალი შუბლი აქვს. წარბები პირდაპირ კალმით დახატულია! რა კარგი ფერის თმა აქვს... შეღებილია! ვარცხნილობაც კარგია. ნეტა სად იკეთებს? საოცრად ნაზი და სუფთა პირისკანი აქვს, ერთ ნაოჭსაც რომ ვერ უნახავ! ტანიც რა კარგად შეუნარჩუნებია! 35 წელს გადაცილებული კი იქნება! ეტყობა, ძალიან უვლის თავს. ო, რა გამომეტყველება ამშვენებს. ალბათ მამალ ყვავს თავზე არ ისვამს! ახლა როგორ მიდის! — ამაყად, თავმომწონედ. იცის საკუთარი თავის ფასი“!

იქვე, მეორე ასე, 35 წლის ქალი ორ მოზრდილ ჩანთას შორის ჩამდგარა (ბაზრიდან ბრუნდება) და მისკენ მომავალ ლამაზ ქალს თვალს არ აშორებს. აი მიუახლოვდა კიდეც. თეთრი, გრძელი, მოვლილი თითებით შუბლიდან თმას იწევს... მეორე ქალი თავის მოუვლელ ხელებზე იყურება: მერე მაღაზიის ვიტრინასთან მიდის. ღმერთო, რას დაემსგავსა! მოქანცული, ნაოჭებშეპარული სახე, ჩაცვენილი უძილო თვალები, გამოხუნებული თმა... რა ხანია საპარიკმახეროში არ ყოფილა! თითქოს დაავიწყდა, რომ ქალია. ღმერთო ნუ უწყენ! ჯვარ სწერია! ფუ ფუ ფუ... ოთხი ბიჭის მოვლა ადვილი ხომ არ არის, თანაც ისეთი ცეტებისა! ახლა ქმარი?! ბავშვებზე უარესი მოსავლელი ის არის. ის ისეთი მოუხერხებელია, შიმშილით რომ მოკვდეს, საჭმელს ვერ გაიცხელებს!.. ახლა ეს სამსახურიო, მაღაზიებიო, ბაზარიო... ურჩევნია ისევ თვითონ იაროს ბაზარში. ისეთი უგერგილო ქმარი ჰყავს, რასაც დაუფასებენ, მაშინვე აძლევს, თითქოს მილიონერი იყოს. რცხვენია, რომ შეევაჭროს. არჩევა მაინც იცოდეს! რასაც აუწონიან, ყველაფერზე თანახმაა, დამპალიც რომ იყოს, ხმას არ ამოიღებს. იმ დღევანდელისა არ იყოს, ნახევარი ატამი გადასაყრელი მიიტანა შინ. მერე რა ფასი მიეცა!.. ოღონდ ბავშვებთან ათამაშე და... იმათაც მეტი რა უნდათ! „აჩუ-აჩუ ცხენო, საით გაგაჭენო“... და ისიც დაჭენაობს, ლამის იატაკი ჩაანგრიონ... დათომ რომ კისერში ჩაასვლა იმ დღეს, სიცილი წასკდა. ო, რა ეშმაკის ფეხია ის... გასაზრდელი!

და მიდის ღიმილით ქალი ავტობუსის გაჩერებისკენ, ხელში ორი მძიმე ჩანთა უკავია, მაგრამ მაინცდამაინც ველარ გრძნობს სიმძიმეს. შვილებზე ფიქრობს. ფიქრობს, როგორი ყიჟინით შეხვდებიან, დედა რა მოგვიტანე, დედა რით გაგვახარეო. ეცემიან ჩანთებს, ამოყრიან ხილს, დაუტატანებს თვითონ, გაურეცხავი არ ჭამოთ, თქვე ყაჩაღებოო... გაამზადებს ვახშამს. მალე ქმარიც მოვა, ახლა იმას შემოეხვევიან, მამიკო მოვიდაო, დაუწყებენ ჭიდაობას, გააგორებენ იატაკზე, „მაჯობეთ, მაჯობეთ, არ მომკლათ, თქვე მამაძაღლებოო, — ვითომ ძალიან ეხვეწება, — აბა, თქვენ იცით, შვილებო, ყოჩაღები, სასახელო ადამიანები გაიზარდეთ, თქვენი იმედი მაქვსო“... მერე მაგიდას შემოუსხდებიან, მადიანად ჭამენ ბავშვები, მალე გავიზარდოთო!..

ქალი ფეხს აუჩქარებს. ახლა მასზე ლამაზი და ბედნიერი არავინ არის ქვეყანაზე. უცბად ისე მოენატრნენ, ცრემლი მოერია. ალბათ როგორ ელიან, იმათ კი მოუკვდეთ დედა!.. ქალი თავის ავტობუსს დაინახავს გაჩერებაზე, გაიქცევა, ავა და თავისუფლად ამოისუნთქავს, მალე შვილებთან იქნება!

**ფელიქს კოჟიაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მაწონი და მისი გამოყენება ჩვილ ბავშვთა კვებაში



მაწონს საქართველოში უძველესი დროიდან ამზადებენ, „უსწორო კარაბადინსა“ და „წიგნი სააქიმოი“-ში ლაპარაკია მაწვნის დადებით თვისებებზე, განსაკუთრებით კუჭ-ნაწლავის აშლილობის დროს; ავადმყოფებს (მათ შორის ბავშვებსაც ერთი წლის ზედა ასაკში) მაწონი ეძლეოდათ უმეტესად გაწურული სახით.

ხელოვნური და შერეული კვების დროს ჩვილი ბავშვის რაციონში მაწონი ძირითადად დანერგილია 1957 წლიდან — ე. გერის და ვ. პაპავას მიერ.

მაწონს აქვს მრავალი სამკურნალო თვისება. კუჭ-ნაწლავის მოქმედებასთან ერთად არეგულირებს ღვიძლის ფუნქციას; ანტიბიოტიკების ზემოქმედებით გამოწვეულ დისბაქტერიოზის (ნორმალური ბაქტერიების დათრგუნვა) დროს — აღადგენს საჭირო ბაქტერიების რაოდენობას (უნგრელი ავტორები).

მაწვნის ცილა (კაზეინი) ნაზ ფიფქებად დედდება, დამაწვნების პროცესში ჩვენს მიერ შეტანილი პროტეოლიზური (დამშლელი) ფერმენტი — პეპსინი (ცხოველური წარმოშობისა) ან ფიცინი (ლეღვის რძის ფერმენტი) კი უფრო უკეთესად შლის ცილას და ხელს უწყობს ცხიმის კარგად შეთვისებას.

რძე-მჟავე პროდუქტები თურგნიან ნაწლავების დაავადების გამომწვევ მიკრობებს. ამიტომ მაწვნის გამოყენება განსაკუთრებით მიზანშეწონილია ზაფხულის ცხელ თვეებში და მაშინაც, როცა ბავშვებს კუჭ-ნაწლავის არასწორი მოქმედება აქვთ.

ჩვილ ბავშვთა კვებაში დიდი ყურადღება ექცევა ნატურალური პროდუქტების გამოყენებას და მათ სწორ დოზირებას.

ბოლო დროს ძალიან იზრდება ალერგიული დაავადებები, კერძოდ, ექსუდაციური დიათეზი, რომელთა ერთ-ერთ ხელშემწყობ მიზეზად ითვლება მშრალი, როგორც მათ მეორენაირად უწოდებენ, ტკბილი ნარევები; მაწონი კი ჩვენი მრავალწლიანი დაკვირვებებით თრგუნავს ექსუდაციურ დიათეზს, თუ იგი თავიდანვე სწორად არის მომზადებული და გამოყენებული.

მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ გახშირდა ტრავმირებული ბავშვების დაბადება. ასეთი ბავშვებისათვის „d“ ვიტამინისა და კალციუმის მიცემა საშიშია (ისინი შედის თითქმის ყველა მშრალ ნარევებში). მაწვნის დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს ის, რომ მისი შეწურვით გაადვილებულია კალციუმის მარილების რეგულირება; თანაც მაწონი „d“ ვიტამინს არ შეიცავს და საშიში არ არის, რომ ხელს შეუწყობს ყიფლიბანდის ნაადრევ დახურვას, რაც რიგი მიზეზების გამო სასურველი არ არის.

პედიატრიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ჩვილ ბავშვთა კვების და ჰიგიენის განყოფილების (ხელმძღვანელი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ელენე გერი) თანამშრომელთა მიერ, მაწონზე დაკვირვება ხდება 25 წელზე მეტია, დახვეწილია მისი ტექნოლოგია, შეტანილია ცილის დამშლელი ფერმენტი პეპსინი (ან ფიცინი), რამაც აამაღლა მაწონის შეთვისების უნარი, გაზარდა ბავშვების ორგანოების წინააღმდეგობა დაავადებისადმი და გააუმჯობესა საერთო განვითარება. ფერმენტირებულ მაწვნად წოდებული ის ახლა აღიარებულია გამომგონებელთა და აღმომჩენთა საკავშირო სახელმწიფო კომიტეტის მიერაც, რაზეც მიღებულია საავტორო მოწმობა (1982 წ.) და უფლება გვეძლევა ფართოდ გამოვიყენოთ იგი ხელოვნური და შერეული კვების, ალერგიული დაავადებების, კუჭ-ნაწლავის აშლილობების და სხვა დაავადებათა დროს.

შარშან გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ ფურცელზე გამოქვეყნებული იყო საინტერესო წერილი იმის შესახებ, რომ იაპონიის რამდენიმე ფირმა დაინტერესდა მაწვნით, როგორც სიცოცხლის გახანგრძლივების საშუალებით; მათ შეიძინეს ლიცენზია ხალას მაწონზე და ახლა იაპონიაშიც დაიწყე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზენ მის გამოყენებას ბავშვთა კვებაში. ეს ფაქტი მიუთითებს მაწვნის ფართოდ აღიარებაზე და მიგვანიშნებს, რომ ჩვილი ასაკიდან მისი გამოყენება კიდევ უფრო გაახანგრძლივებს ადამიანის სიცოცხლეს.

### მოგვყავს ფერმენტირებული მაწვნის მომზადების წესი

ერთ ლიტრ ადუღებულ და ოდნავ შეგრილებულ რძეში, ოდნავ რომ „იკბინება" (40° ც), ჩაასხით (ცალკე ლამბაქზე ერთ სუფრის კოვზ რძეში გასრესილი) 2 ჩაის კოვზი (10 გრამი) „მაწვნის დედა", ნაღები, რომელიც მოიყენა ერთ ლიტრა რძემ, პეპსინის ფხვნილი — 0,150 მილიგრამი და სუფთა ვიტამინი „C" — 100 მლგრ (პეპსინი და ვიტამინი „C" რეცეპტით უნდა გამოიტანოთ აფთიაქიდან), ამ ყოველივეს კარგად შეურევთ მაწვნად შესაყენებელ რძის საერთო რაოდენობას, გაანაწილებთ ქილებში იმის მიხედვით, რამდენს ჭამს ბავშვი თითო ჯერზე; (მაწონი ასე მზადდება ერთ წლამდე ბავშვებისათვის). ქილები სუფთად და თბილად შეფუთეთ 3 საათით; შემდეგ გახსენით — შესაგრილებლად, ნახევარი საათის მერე შედგით მაცივარში (ქვედა თაროზე). მაწვნის „მომწიფებას" სჭირდება 8-10 საათი, რის შემდეგ, შეიძლება მისი გამოყენება — საკვებად 24-36 საათის განმავლობაში. მაწვნის ცხელ ნახარშებში ან ფაფაში შერევა არ შეიძლება, რადგან გამჟავდება და გაუგემურდება. მაწვნის ყოველი ცალკე ულუფა, რომელიც ბავშვმა ერთ ჭამაზე უნდა მიიღოს, მაცივრიდან ნახევარი საათით ადრე უნდა გამოიდგას, შეთბეს ოთახის ტემპერატურაზე და მიეცეს ჩვეულებრივი წესით დამტკბარი (5% შაქრის სიროფით ასაკისა და წონის მიხედვით, ექიმის დანიშნულების მიხედვით). თუ ქალის რძე გვაქვს, სასურველია მაწონი შაქრის სიროფის ნაცვლად დედის რძით შევაზავოთ — იმავე რაოდენობით ან 1:1-ზე. ბურღულის ნახარშით მაწონი უნდა გაზავდეს — ასე: $^2/_3$ მაწონი, $^1/_3$ ბურღულის ნახარში, 5%შაქრის სიროფი, იგი მხოლოდ ერთი თვის ასაკამდე ბავშვს მიეცემა. 1 თვიდან კი უნდა მიეცეს ფერმენტირებული ხალასი მაწონი 5% შაქრის სიროფით.

ზემოაღწერილი მაწონი მოზრდილებისათვის შეიძლება მთლიანად ერთი ლიტრი ან ნახევარი ლიტრის რაოდენობით შედედდეს.

ოჯახის პირობებში მაწონი უკეთესია შევაყენოთ სალამოს 5-6 საათზე. გავხსნათ 8-9 საათზე და შევალაგოთ მაცივარში — მითითების თანახმად. მაწვნის შედედება უნდა ხდებოდეს მხოლოდ დღეში ერთხელ და ყოვლად დაუშვებელია ახალ-ახალი — ე. ი. 3 საათიანი მაწვნის მიცემა. ასევე მაწვნად შეყენების დროს შეფუთვა არ უნდა გახანგრძლივდეს 3 საათზე მეტ ხანს, რადგან მაწონი დამჟავდება და გაუგემურდება.

საჭიროდ მიგვაჩნია შაქრის სიროფის მომზადების სწორი წესი მოგაწოდოთ, რადგან ხშირად მას არასწორად ამზადებენ:

200 გრამი შაქარი გახსენით 100 მილილიტრ მდუღარე წყალში, დადგით დაბალ ცეცხლზე და ადუღეთ მხოლოდ 1-2 წუთს. გაწურეთ ორმაგდოლბანდ შუა ჩაფენილ ბამბაში და აუცილებლად გაზომეთ. უნდა მიიღოთ 200 მილილიტრი სიროფი, თუ დააკლდა შეავსეთ მდუღარე წყლით — 200 მგ-მდე. ეს არის 100% შაქრის სიროფი და ყოველ 100 გრამ ნარევზე (მაწონზე) ერთი ჩაის კოვზი (5 მილილიტრი) უნდა ჩაასხათ.

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი
**ე. გერი**
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი
**ლ. სიმონიშვილი**

## ვისწავლოთ ქსოვა

# გაკვეთილებს ატარებს ლამარა ილიას ასული ვეკუა

(გაკვეთილი პირველი)

ადამიანი უხსოვარი დროიდან ქსოვს. საქსოვი ხელსაწყოების სიმარტივე ადამიანის გენიალურობის ერთ-ერთი გამოვლინებაა. მიუხედავად ტექნიკის გაუგონარი განვითარებისა, როცა მანქანები, პროგრამის საშუალებით დროის მცირე მონაკვეთში ნებისმიერი ფორმის და ზომის ნივთებს ქსოვენ, მე-20 საუკუნის ადამიანი კვლავ მარტივ ჩხირებს და ყაისნალს ხმარობს. და ეს ალბათ იმიტომ, რომ ამ უკანასკნელით ვლინდება ყოველი ინდივიდის დაუშრეტელი ფანტაზია, გამომგონებლობა და გემოვნება.

კარგი მქსოველის ხელში, ერთიდაიგივე ძაფი მრავალი წლის განმავლობაში სხვადასხვა დანიშნულების ძვირფას ნივთებად იქცევა, რის წყალობითაც ყოველთვის გემოვნებით, თანამედროვედ, მოდურად და ლამაზად შეიძლება გვეცვას და ამავე დროს სრულიად შეუმჩნევლად ოჯახში საგრძნობი დანაზოგიც გაგვიჩნდეს.

ამბობენ, ხელით ქსოვა ამშვიდებსო. ჩემის აზრით კი მხოლოდ იმას ამშვიდებს და ანიჭებს სიამოვნებას, ვისაც ქსოვა ნამდვილად უყვარს.

ნაქსოვი ნივთები აუცილებლად უნდა იყოს თანამედროვე, პასუხობდეს მოდას. უნდა გავითვალისწინოთ ასაკი და გარეგნობა იმ პირისა, ვისთვისაც იქსოვება.

ჩვენი მიზანია დავეხმაროთ მსურველებს ქსოვის შესწავლაში.

* * *

ჩვეულებრივად ქსოვისას ვხმარობთ ორ ჩხირს. როცა გვინდა ავიცილოთ ზედმეტი ნაკერები, მივმართავთ გადაბმულ ჩხირებს. წინდების და ხელთათმანების ქსოვისას ვიყენებთ ხუთ ჩხირს. განიერი ნივთების ქსოვის დროს გადაბმული ჩხირები უფრო მოხერხებულია.

ჩხირები აუცილებლად კარგად უნდა იყოს გაპრიალებული (გამოჩარხული), წვერი არც ძალიან მახვილი უნდა ჰქონდეს და არც — ბლაგვი. მახვილი წვერი ძაფს გვიწეწავს, ბლაგვი კი თვლებს ჭიმავს. ორივე შემთხვევაში ნაქსოვი უხარისხო გამოდის.

სხვადასხვა მასალისაგან დამზადებულ ჩხირებს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს. მაგალითად, ძვლისაგან და ხისაგან დამზადებული ჩხირები მსუბუქია და სუფთა ნაქსოვსაც გვაძლევს, მაგრამ ხშირად ილუნება და შეიძლება მუშაობა შეგვიფერხოს. ალუმინისაგან დამზადებული ჩხირები მსუბუქია, მაგრამ იჟანგება და ღია ფერის ნაქსოვი შეიძლება დაგვესვაროს. ნიკელის ჩხირები, მართალია უფრო მძიმეა, მაგრამ არც ილუნება და სუფთადაც ქსოვს.

მნიშვნელობა აქვს ჩხირის ნომერსაც. № 1-ჩხირის დიამეტრი 1 მმ-ია, № 2- 2 მმ-ია და ა. შ. სასურველია რომ ჩხირის სისქე ორჯერ აღემატებოდეს ძაფის სისქეს. ვინაიდან წვრილი ძაფის მსხვილი ჩხირით ქსოვისას

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაწელილი ნაქსოვი მიიღება, მსხვილი ძაფის წვრილი ჩხირით ქსოვის შემთხვევაში კი — არაელასტიკური. უნდა გავითვალისწინოთ თვითონ მქსოველის თავისებურებაც: ზოგი ძალიან მჭიდროდ ქსოვს. ზოგი კი ძალიან თავისუფლად. ამიტომ თავისუფლად მქსოველს ვურჩევთ ნახევარი ნომრით ნაკლები ჩხირებით ქსოვოს, ხოლო მჭიდროდ მქსოველებს კი ნახევარი ნომრით მეტი. არის შემთხვევები, როდესაც წალმა ქსოვისას უფრო მჭიდროდ ქსოვენ, ხოლო უკულმა გაწელილი გამოდის. ამ შემთხვევაში სჯობს ვიხმაროთ ორი სხვადასხვა ნომრის ჩხირი, მაგალითად № 2 და № 2,5, ასე, რომ უკულმა ქსოვისას ვიხმაროთ წვრილი ჩხირი.

სხვადსხვა ნივთი, სხვადასხვა ძაფით იქსოვება. ვიყენებთ შალის, ბამბის, აბრეშუმის და ხელოვნურ ძაფებს. ძაფი აუცილებლად უნდა შევარჩიოთ, რადგან ერთიდაიგივე სახის ქსოვისას სხვადასხვა ძაფი სხვადასხვანაირად გამოიყურება.

შალის წვრილ ნართს შითს უწოდებენ, მისგან თხელი ნივთები იქსოვება: კოფთა, შარფი, ხელთათმანი, წინდები და სხვა. მსხვილ შალის ძაფს კი — ლაზლს და მისგან უფრო სპორტულ და ზედა ტანსაცმელს ქსოვენ. ბამბის ძაფით უფრო საზაფხულო რამეები იქსოვება და უნდა ითქვას, რომ მისგან თანამედროვე, ლამაზი ნივთები გამოდის.

ძაფის ამოხვევა რთული არ არის, მაგრამ მასაც ცოდნა სჭირდება. ძაფი ძალიან მჭიდროდ არ უნდა დავახვიოთ, ვინაიდან ის ელასტიკურობას კარგავს და ნაქსოვიც უხარისხო გამოდის. თუ ნარღვევ ძაფს ვხმარობთ, მას სათანადო დამუშავება უნდა: ჯერ შულოებად უნდა ამოვახვიოთ, თუ საჭიროა გადავღებოთ, გაშრობისას შულოებს სიმძიმე დავკიდოთ, რომ ძაფი გასწორდეს და შემდეგ ამოვახვიოთ... ძაფი მზეზე და სათბობ ხელსაწყოსთან არ უნდა გავაშროთ...

## თვლების აკრეფა

1. უმარტივესი მეთოდი: მარჯვენა ხელით ორი ჩხირი ძაფის ბოლოსთან ერთად დავიჭიროთ. გორგალიდან ამოხსული ძაფი (სამუშაო ძაფი) ამოვატაროთ მარცხენა ხელის შუა და უსახელო თითებს შორის და გადავდოთ საჩვენებელ თითზე (სურ. 1), ჩხირები შევიყვანოთ ზედა მხრიდან (სურ. 2), ჩამოვხსნათ ძაფი საჩვენებელი თითიდან და გამოვწიოთ. ამ წესით ავკრიფოთ საჭირო რაოდენობის თვალი. ამ წესს იშვიათად ვიყენებთ დაწყებისას, ვინაიდან ნაპირი გაწელილი გამოდის, მაგრამ ქსოვის დროს, ხშირად ვიყენებთ თვლების მომატებისას. თუმცა ზოგიერთი ნივთისათვის ეს დაწყება აუცილებელიც არის.

2. ერთერთი გავრცელებული წესი თვლების აკრეფისა შემდეგია. გავითვალისწინებთ მოსაქსოვი ნივთის სიგანეს, ავიღებთ სამჯერ ან ოთხჯერ გრძელ ძაფს (ეს დამოკიდებულია ძაფის სისქეზე), მოვკეცავთ და მოკეცვის ადგილს დავიხვევთ ცერზე ისე, რომ თავისუფალი ბოლო მქსოვლის მხარეს აღმოჩნდეს, დანარჩენ ძაფს გადავდებთ საჩვენებელ თითზე და გადავატარებთ შუა და უსახელო თითს შორის. ცერიდან თავისუფალ ბოლოს


1


2


3




5


6


7


8

ეროვნული ბიბლიოთეკა



9



12



15



10



13



16



11



14



ნეკით დავიჭერთ (სურ. 3). მარჯვენა ხელში ავილებთ ორ ჩხირს და ერთად შევიყვანთ იმ თვალში, რომელიც შექმნილია ცერის გარშემო (სურ. 4). და მოვდებთ საჩვენებელ თითზე გადადებულ ძაფს (სურ. 5). გავანთავისუფლებთ ცერს. ძაფს ისევ გადავილებთ ცერზე და მოვსწევთ ჩხირებს (სურ. 6). ამ წესით ავკრეფთ თვლების საჭირო რაოდენობას (სურ. 7, 8). გამოვილებთ ერთ ჩხირს, მარცხენა ხელში დავიჭერთ ჩხირს, სამუშაო ძაფს გადავიდებთ (ან დავიხვევთ) საჩვენებელ თითზე და მარჯვენა ჩხირით ვიწყებთ ქსოვას.

ქსოვისას განვასხვავებთ ქსოვას წალმა მხრიდან და ქსოვას უკულმა მხრიდან.

წალმა ქსოვა ორი წესით ხდება: შიგნიდან გამოყვანილი თვალი და ზემოდან გამოყვანილი თვალი.

ყოველი რიგის ქსოვისას პირველი თვალი მარჯვენა ჩხირზე გადმოგვაქვს გამოუქსოვლად (სურ. 9). წალმა ქსოვისას, სამუშაო ძაფი, გადადებული საჩვენებელ თითზე უნდა იყოს ჩხირების უკან. შევიყვანოთ მარჯვენა ჩხირი მეორე თვალში, გამოვდოთ გაჭიმულ ძაფს (სურ. 10) და ჩამოვხსნათ მარცხენა ჩხირიდან (სურ. 11). ამ წესით გამოქსოვას ქვემოდან წალმა გამოქსოვა ეწოდება.

მარჯვენა ჩხირი შევიყვანოთ ზემოდან, გამოვდოთ გაჭიმულ ძაფს (სურ. 12). ჩამოვხსნათ მარცხენა ჩხირიდან. ამ წესს ვუწოდოთ ზემოდან გამოღებული წალმა თვალი. (სურ. 13).

## უკუღმა თვლის გამოღება

ა. სამუშაო ძაფი ჩხირების ზემოდან მოვათავსოთ, მარჯვენა ჩხირს შევიყვანთ თვალში, გამოვდებთ ძაფს და გადავილებთ მარჯვენა ჩხირზე (სურ. 14, 15).

ბ. სამუშაო ძაფი კვლავ ზემოთ არის მოთავსებული. მარჯვენა ჩხირს შევიყვანთ თვალში, გაჭიმულ ძაფს გამოვიყვანთ ისე, როგორც ეს სურ. 16, 17-ზე არის ნაჩვენები.

დამწყებ მქსოველს ვურჩევთ, სწავლის პროცესში იხმაროს საშუალო ზომის ჩხირები და საშუალო სისქის გრეხილი ძაფი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საახალწლო

## გაუგებრობა

ხრულწლოვანებას მიღწეულმა ინეზამ საახალწლო საჩუქრად მშვენიერი სამეჯლისო კაბა მიიღო.

— დედიკო, ეს რა ქსოვილია?

— ვერა ხედავ? აბრეშუმია.

— და ეს ყველაფერი იმ უმნიშვნელო ჭიამ მისაჩუქრა?

— როგორ არა გრცხვენია, მშობელ მამას ასე უდიერად რომ იხსენიებ!

## თავის დაზღვევა

— ოტო, შენი აზრით, წლეულს როგორი მოდა იქნება? — ჰკითხა ცოლმა.

— ზედმიწევნით ზუსტად შემიძლია გითხრა — ორგვარი ნიმუშის კაბებს ჩაიცვამენ: ერთს ისეთს, შენ რომ არ მოგეწონება, ხოლო მეორის საყიდლად მე ფული არ მეყოფა. — მიუგო ქმარმა.

## სიძვირე

ერთმა ამერიკელმა მანდილოსანმა გადაწყვიტა საახალწლოდ სახის პლასტიკური ოპერაცია გაეკეთებინა და კოსმეტიკის კაბინეტში შევიდა. ექიმმა ძველბერძნული პროფილი გაუკეთა, ნაოჭები გაუსწორა, ორმაგი ნიკაპი გაუერთიანა და პირი გაუნახევრა.

— კიდევ რა გნებავთ, მისის?

— არ შეგიძლიათ დიდი და გამომეტყველი თვალები გამიკეთოთ?

— როგორ არა, — მიუგო სპეციალისტმა, მერე მოლარისკენ შეტრიალდა და უთხრა: — ქალბატონს ანგარიში წარმოუდგინეთ!

## უნდობლობა

სტუდენტმა ახალი წლიდან სხვა ოთახი იქირავა და, შთაბეჭდილება რომ მოეხდინა, სახლის პატრონს უთხრა:

— ძველი ბინიდან რომ წამოვედი, სახლის პატრონი ატირდა.

— მე ეგ არ დამემართება — ქირას წინასწარ გადაგახდევინებთ.

## გამოსავალი

ცოლმა ლატარიის ბილეთი შეიძინა, რომელიც საახალწლოდ უნდა გათამაშებულიყო და ქმარს უთხრა:

— თუ მოვიგებ, ჩემთვის ახალ კაბას ვიყიდი.

— და თუ არა?

— მაშინ შენ მიყიდე.

## გამგებლობა

— ჩემმა ცოლმა დამავალა ამ ახალი წლიდან ხელფასის მომატება გთხოვოთ. — უთხრა თანამშრომელმა დირექტორს.

— კეთილი, ამ საკითხებზე ჩემს ცოლს მოველაპარაკები, — მიუგო იმან.

## მადლიერება

ერთმა მდიდარმა ბერბიჭამ საახალწლოდ თავისი ქონება სამ ქალს უანდერძა, რომლებმაც ახალგაზრდობაში ცოლად გაყოლაზე უარი უთხრეს.

„მათ ვუმადლი სიმშვიდესა და ბედნიერებას, — ჩაწერა მან ანდერძში, — რითაც მთელი სიცოცხლის მანძილზე ვტკბებოდი."

## პაექრობა

საახალწლოდ ცოლმა ახალი ვარცხნილობა გაიკეთა, ქმარმა უსაყვედურა:

— მე არ მინდა, თმას ასე მოკლედ რომ იჭრი!

— ერთი ამას დამიხედეთ! — მიუგო ცოლმა, — შენ მითანხმდებოდი, როცა მელოტდებოდი?

## უსაზღვრო ბედნიერება

სმიტმა ახალი წლის წინ ლატარიაში ასი ათასი დოლარი მოიგო.

— შენი სიდედრი როგორ შეხვდა ამ ამბავს? — ჰკითხა მეგობარმა.

— ო, განცვიფრებისაგან ენა ჩაუვარდა.

— ღმერთო ჩემო, ერთბაშად რამდენი ბედნიერება!

## საახალწლო მილოცვა

ახალი წლის წინა დღეებში, სტუდენტებს უნდა დაეწერათ თხზულება თემაზე: „ბუნების საიდუმლოებები." ერთმა სტუდენტმა დაწერა:

ღმერთმა იცის, მე არ ვიცი. ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ, ბატონო პროფესორო!"

რამდენიმე დღის შემდეგ პროფესორმა სტუდენტებს რვეულები რომ დაუბრუნა, იმ სტუდენტმა თავის რვეულში ამოიკითხა:

„ღმერთს — ხუთიანი" შენ — „ერთიანი". გისურვებთ მხიარულ ახალ წელს!

## საახალწლო ინტერვიუდან

— როცა დავქორწინდით, არც ჩემს ცოლს გააჩნდა რამე და არც მე. ქორწილიც კი ვალით გადავიხადეთ.

— ახლა?

— ახლა ათი ბავშვი გვყავს.

გერმანულიდან თარგმნა

შოთა ამირანაშვილმა.

გარეკანის პირველ გვერდზე — ჯ. ლომაძის ფოტოეტიუდი; მეოთხეზე — ლადო გუდიაშვილი. „ქალმა თავი მოიმძინარა".

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი
Главный редактор МАРИКА БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია: გ. ბანძელაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. გურგენიძე, ლ. კაკაბაძე, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, ნ. ქვანია, ა. ქლენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. შალუტაშვილი, ლ. შეწირული, ნ. ცაგარეიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი).

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, 76178 Тбилиси, Ленина, 14.
Адрес редакции: 76178. Тбилиси, Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 5.12. 83 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.1. 84 წ. ქაღალდის ზომა 60×1/3 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5.8.
Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 5,8. ტირაჟი 130 000. შეკვ. 2764 უე 06418.



ზამთარი თბილისში

ლ. იაკობაშვილის ფოტოეტიუდი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 30 კაპ.

ინდექსი 76178